

THE CODE OF HAMMURABI

ხამურაბის კანონები

GAMBASHIDZE MAIA

Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
Ass. Prof., Chavchavadze St. #1 Tbilisi, Georgia,
Tel.: 599960904, maia.ghambashidze@tsu.ge
ORCID: 0000-0002-1008-2869

CHAREKISHVILI NINO

Professor, Georgian Institute of Public Affairs (GIPA)
Rustavi Highway N22a, 0114, Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0002-9568-2926
n.charekishvili@gipa.ge

Abstract. The compilation of the Code of Hammurabi was created near the end of his 43-year reign, approximately between 1792 and 1750 BCE. As the sixth ruler of the First Dynasty of Babylon, Hammurabi established an expansive and powerful state, creating a complex and sophisticated governmental and military bureaucracy to manage the empire effectively. He defeated powerful rival kingdoms and extended his political and diplomatic influence throughout the ancient Near East. In the second year of his reign, Hammurabi established justice in the land, a fact attested by his regnal year-name formula: "The year in which Hammurabi established justice in the land."

The Code of Hammurabi is considered the most extensive and well-organized legal compilation from its time. It builds upon earlier legal traditions and undoubtedly influenced subsequent legislation. The collection consists of: a) a Prologue, b) 275 to 300 laws (or stipulations), and c) an Epilogue.

A) The Prologue incorporates several key themes:

Divine Will and Hammurabi's Selection: The beginning of the Prologue emphasizes that Hammurabi received his authority from the supreme deities—Anu, Enlil, and Marduk—underscoring the divine nature and legitimacy of his rule.

Declaration of Mission: Hammurabi declares his primary mission: to establish justice, eradicate wickedness, and prevent the strong from oppressing the weak.

Ruler's Achievements and Merits: The Prologue extensively details Hammurabi's accomplishments in various cities. He portrays himself as a Creator and Builder (restoring and renovating temples such as the Ekur in Nippur and the Esagila in Babylon, among many others); a Shepherd and Protector (caring for the people, ensuring their water, food, and peace); and a Warrior and Conqueror (referred to as a "furious dragon" who subjugated enemies and expanded the empire).

Legacy and Social Responsibility: The Prologue concludes with the declaration that the god Marduk chose Hammurabi to establish the rule of law and justice for the people. By

doing so, he presents himself as a righteous and pious ruler devoted to the well-being of his subjects.

The Prologue functions as Hammurabi's political and religious manifesto, glorifying his divine origin, his achievements, and the justice he sought to establish through his laws.

B) The Laws (or Stipulations) cover the following thematic categories:

Judicial and Procedural Law: Regulating court proceedings, evidence, false testimony, judge's responsibility, and other legal procedures.

- False Accusation and Slander: 1, 2, 3, 4, 11, 127.
- Judicial Decisions and Judge's Responsibility: 5, 12, 13.
- Presentation of Evidence: 9, 10.

Property Crimes: Laws addressing theft, robbery, and illegal appropriation of property.

- Theft and Robbery: 6, 7, 8, 21, 22, 23, 24, 25.
- Illegal Purchase of Property: 10, 101, 102.
- Compensation for Loss: 23, 24, 25, 236, 237, 238, 245, 246, 247, 248, 252.

Military and Public Service: Stipulations concerning the duties and property rights of royal soldiers (*rēdum*, *bā'irum*) and officers (*dēkum*, *lupūtum*).

- Military Obligation and Corvée: 26, 27, 28, 29, 30, 31, 33.
- Military Captivity and Ransom: 32.
- Offenses by Officers: 34.
- Property Transactions: 35, 36, 37, 38, 39, 40, 41.

Agriculture and Land Tenancy: Laws regulating land cultivation, lease agreements, irrigation systems, and crop division.

- Land Cultivation and Maintenance: 42, 43, 44, 45, 46, 47.
- Loan and Harvest: 48, 49, 50, 51, 52, 66.
- Irrigation Canals and Responsibility: 53, 54, 55, 56.
- Planting and Maintenance of Gardens: 59, 60, 61, 62, 63, 64, 65.
- Theft of Agricultural Implements: 259, 260.

Family and Property Law: Laws governing marriage, divorce, inheritance, marital property, and women's rights.

- Marriage and Marital Property: 128, 144, 145, 146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 159, 160, 161.
- Adultery and Sexual Offenses: 129, 130, 131, 132, 133a, 133b, 134, 135, 136, 153, 154, 155, 156, 157, 158.
- Divorce: 137, 138, 139, 140, 141, 142, 143.
- Inheritance: 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 171, 172, 173, 174, 175, 176a, 176b, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184.
- Adoption and Upbringing: 185, 186, 187, 188, 189, 190, 191, 192, 193.
- Nurse's Responsibility: 194.

Physical Injury and Retaliation: Laws concerning bodily harm, punishment, and compensation.

- Bodily Injury: 195, 196, 197, 198, 199, 200, 201, 202, 203, 204, 205.
- Unintentional Offense: 206, 207, 208.
- Striking a Woman and Causing Miscarriage: 209, 210, 211, 212, 213, 214.

Medical and Professional Services: Covering the responsibilities of physicians, builders, boatmen, and other professionals.

- Responsibility of Physicians and Veterinarians: 215, 216, 217, 218, 219, 220, 221, 222, 223, 224, 225.
- Responsibility of Builders: 228, 229, 230, 231, 232, 233.
- Responsibility of Boatmen: 234, 235, 236, 237, 238, 240.

Labor Relations and Artisans: Laws regulating the terms of hire, wages, and responsibilities of laborers, shepherds, and various artisans.

- Hired Laborers and Artisans: 273, 274.
- Responsibility of Shepherds: 261, 262, 263, 264, 265, 266, 267.
- Hiring of Agricultural Tools: 268, 269, 270, 271, 272.
- Hiring of a Boat: 275, 276, 277.

Slaves: Laws concerning the sale of slaves, their identification, and legal status.

- Sale of Slaves: 278, 279, 280, 281.
- Slave Identification and Punishment: 226, 227, 282.
- Kidnapping and Harboring Slaves: 14, 15, 16, 17, 18, 19, 20.

Trade and Finance: Stipulations addressing financial operations, loans, interest, and commerce.

- Loans and Interest: 103, 104, 105, 106, 107.
- Relations between Merchants: 100, 103, 104, 105, 106, 107.
- Pledge and Appropriation of Property: 108, 109, 110, 111, 112, 113.
- Repayment of Debt: 114, 115, 116, 117, 118, 119.
- Deposit of Property for Safekeeping: 120, 121, 122, 123, 124, 125, 126.

Animals: Laws concerning the hiring and maintenance of livestock and compensation for damage caused by them.

- Hiring of Animals: 241, 242/243, 244, 245, 246, 247, 248, 249.
- Damage Caused by Animals: 250, 251, 252.

C) The Epilogue serves several important purposes:

Summary of Achievements and Self-Praise: Hammurabi emphasizes that his rule brought order, peace, and prosperity to the land. He presents himself as the ideal ruler, chosen by the gods and governing with divine wisdom and strength. He places particular focus on protecting the weak—orphans and widows—as the primary evidence of his justice.

Explanation of the Laws' Purpose: The Epilogue explicitly states that the Code was created for public display. Any wronged individual can approach the stela, read the law, find justice, and calm their heart. This affirms that the laws existed for the benefit of ordinary citizens, not just the rulers.

Admonition to Future Rulers: Hammurabi calls upon future kings to uphold and not alter the laws he established. He promises them blessings and success if they heed his will.

Dreadful Curses: This is the most forceful section of the Epilogue. Hammurabi details terrible curses from various deities (Anu, Enlil, Shamash, Ishtar, and others) that will befall anyone who distorts his laws or desecrates his monument. The curses include the loss of kingship, poverty, famine, illness, chaos, and the complete destruction of the kingdom. This serves to ensure the inviolability of the Code and protect Hammurabi's legacy.

The Epilogue summarizes his achievements, reinforces the divine legitimacy of the laws, and protects them against future alteration.

Keywords: Assyriology, Mesopotamia, Babylon, Laws, Hammurabi.

მაია ღამბაშიძე

ივ. ჯავახიშვილის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტ., ასოც. პროფ.,

საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის ქ. #1

ტელ.: 599960904, maia.ghambashidze@tsu.ge

ORCID: 0000-0002-1008-2869

ნინო ჩარეკიშვილი

პროფესორი, დოქტორი,

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

მის.: რუსთავის გზატკეცილი N22ა, 0114,

თბილისი, საქართველო

ORCID: 0000-0002-9568-2926

n.charekishvili@gipa.ge

აბსტრაქტი: ხამურაბის კანონების კრებული მისი 43-წლიანი მეფობის ბოლოს, დაახლოებით ქ.წ. 1792-1750 წლებში შეიქმნა. მან, როგორც ბაბილონის პირველი დინასტიის მეექვსე მმართველმა, შექმნა ვრცელი და ძლიერი სახელმწიფო, რთული და დახვეწილი სამთავრობო და სამხედრო ბიუროკრატია, რათა იმპერია ეფექტურად ემართა. ხამურაბიმ დაამარცხა ძლევამოსილი მოწინააღმდეგე სამეფოები და გაავრცელა თავისი პოლიტიკური და დიპლომატიური გავლენა მთელ ძველ ახლო აღმოსავლეთში. მეფობის მეორე წელს ხამურაბიმ სამართლიანობა დაამყარა ქვეყანაში, რასაც მოწმობს მისი მმართველობის აღმნიშვნელი ფორმულაც: „წელი, როდესაც ხამურაბიმ დაამყარა სამართლიანობა მიწაზე“.

ხამურაბის კანონები ყველაზე ვრცელი და კარგად ორგანიზებული სამართლებრივი კრებულია. იგი ეყრდნობა ადრინდელი კანონების ტრადიციებს და, უდავოდ, გავლენა მოახდინა შემდგომ კანონმდებლობაზე. კრებული შედგება: ა) პროლოგის, ბ) 275-დან 300-მდე კანონისა და გ) ეპილოგისგან.

ა) პროლოგი რამდენიმე ძირითად თემას აერთიანებს:

ღმერთების ნება და ხამურაბის რჩეულობა: პროლოგის დასაწყისი ხაზს უსვამს, რომ ხამურაბიმ ძალაუფლება უზენაესი ღვთაებებისგან – ანუსგან, ენლილისგან და მარდუქისგან – მიიღო. ეს მისი მმართველობის ღვთაებრივ ბუნებასა და ლეგიტიმურობაზე მიუთითებს.

მისიის განცხადება: ხამურაბი აცხადებს თავის მთავარ მისიას: სამართლიანობის დამკვიდრება, ბოროტების აღმოფხვრა და სუსტების დაცვა ძლიერების ჩაგვრისგან.

მმართველის მიღწევები და დამსახურებები: პროლოგი ვრცლად აღწერს ხამურაბის მიერ სხვადასხვა ქალაქში განხორციელებულ საქმეებს. ის საკუთარ თავს წარმოაჩენს, როგორც შემოქმედს და აღმშენებელს: მან აღადგინა და განაახლა ტაძრები, როგორცაა ექურის ტაძარი ნიფურში, ესაგილას ტაძარი ბაბილონში და მრავალი სხვა; მწყემსს და მფარველს: ის ზრუნავდა ხალხზე, უზრუნველყოფდა მათ წყლით, საკვებით და მშვიდობით; მეომარს და დამპყრობელს: იგი მრისხანე გველეშაპად არის მოხსენიებული, რომელმაც დაიმორჩილა მტრები და გააფართოვა იმპერია.

მემკვიდრეობა და სოციალური პასუხისმგებლობა: პროლოგი სრულდება იმით, რომ ხამურაბი ხალხისთვის კანონისა და სამართლიანობის დასადგენად ღვთაება მარდუქმა აირჩია. ამით ის საკუთარ თავს წარმოაჩენს, როგორც სამართლიან და ღვთისმოსავ მმართველს, რომელიც ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავს.

პროლოგი არის ხამურაბის მიერ შექმნილი პოლიტიკური და რელიგიური მანიფესტი, რომელიც განადიდებს მის ღვთაებრივ წარმომავლობას, მის მიღწევებს და იმ სამართლიანობას, რომლის დამკვიდრებასაც ის თავისი კანონებით ცდილობდა.

ბ) კანონები მოიცავს შემდეგ თემებს:

სასამართლო და პროცედურული სამართალი: ეს ნაწილი მოიცავს კანონებს, რომლებიც არეგულირებს სასამართლო პროცესებს, მტკიცებულებებს, ცრუ ჩვენებას, მოსამართლის პასუხისმგებლობას და სხვა სამართლებრივ პროცედურებს.

- ცრუ ბრალდება და ცილისწამება: 1, 2, 3, 4, 11, 127.
- სასამართლო გადაწყვეტილებები და მოსამართლის პასუხისმგებლობა: 5, 12, 13.
- მტკიცებულებების წარდგენა: 9, 10.

ქონებრივი დანაშაული: ამ ჯგუფში მოცემულია კანონები, რომლებიც ეხება ქურდობას, ძარცვას და ქონების უკანონო მითვისებას.

- ქურდობა და ძარცვა: 6, 7, 8, 21, 22, 23, 24, 25.
- ქონების უკანონო შესყიდვა: 10, 101, 102.
- ზარალის ანაზღაურება: 23, 24, 25, 236, 237, 238, 245, 246, 247, 248, 252.

სამხედრო და საჯარო სამსახური: აქ თავმოყრილია კანონები, რომლებიც ეხება სამეფო ჯარისკაცების (რედუ, ბაირუ) და ოფიცრების (დექუ, ლუფუთუ) მოვალეობებსა და ქონებრივ უფლებებს.

- სამხედრო ვალდებულება და ბეგარა: 26, 27, 28, 29, 30, 31, 33.
- სამხედრო ტყვეობა და გამოსასყიდი: 32.
- ოფიცრების დანაშაული: 34.
- ქონებრივი გარიგებები: 35, 36, 37, 38, 39, 40, 41.

სოფლის მეურნეობა და მიწის იჯარა: ამ ჯგუფში მოცემულია კანონები, რომლებიც არეგულირებს მიწის დამუშავებას, იჯარას, სარწყავ სისტემებს და მოსავლის გაყოფას.

- მიწის დამუშავება და მოვლა: 42, 43, 44, 45, 46, 47.
- სესხი და მოსავალი: 48, 49, 50, 51, 52, 66.
- სარწყავი არხები და პასუხისმგებლობა: 53, 54, 55, 56.
- ბაღების გაშენება და მოვლა: 59, 60, 61, 62, 63, 64, 65.
- სასოფლო-სამეურნეო იარაღების ქურდობა: 259, 260.

ოჯახური და ქონებრივი სამართალი: ეს კანონები ეხება ქორწინებას, განქორწინებას, მემკვიდრეობას, ოჯახურ ქონებას და ქალის უფლებებს.

- ქორწინება და ოჯახური ქონება: 128, 144, 145, 146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 159, 160, 161.
- ღალატი და სექსუალური დანაშაული: 129, 130, 131, 132, 133ა, 133ბ, 134, 135, 136, 153, 154, 155, 156, 157, 158.
- განქორწინება: 137, 138, 139, 140, 141, 142, 143.
- მემკვიდრეობა: 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 171, 172, 173, 174, 175, 176ა, 176ბ, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184.
- შვილად აყვანა და აღზრდა: 185, 186, 187, 188, 189, 190, 191, 192, 193.
- ძიძის პასუხისმგებლობა: 194.

ფიზიკური დაზიანება და შურისძიება: ამ ჯგუფში მოცემულია კანონები, რომლებიც ეხება სხეულის დაზიანებას, სასჯელს და კომპენსაციას.

- სხეულის დაზიანება: 195, 196, 197, 198, 199, 200, 201, 202, 203, 204, 205.
- გაუაზრებელი დანაშაული: 206, 207, 208.
- ქალის ცემა და ორსულობის შეწყვეტა: 209, 210, 211, 212, 213, 214.

სამედიცინო და პროფესიული მომსახურება: მოიცავს ექიმების, მშენებლების, მენავეების და სხვა პროფესიონალების პასუხისმგებლობებს.

- ექიმების და ვეტერინარების პასუხისმგებლობა: 215, 216, 217, 218, 219, 220, 221, 222, 223, 224, 225.
- მშენებლების პასუხისმგებლობა: 228, 229, 230, 231, 232, 233.
- მენავეების პასუხისმგებლობა: 234, 235, 236, 237, 238, 240.

შრომითი ურთიერთობები და ხელოსნები: აქ თავმოყრილია კანონები, რომლებიც არეგულირებს მუშების, მწყემსების და სხვადასხვა ხელოსნების დაქირავების პირობებს, გასამრჯელოსა და პასუხისმგებლობას.

- დაქირავებული მუშები და ხელოსნები: 273, 274.
- მწყემსების პასუხისმგებლობა: 261, 262, 263, 264, 265, 266, 267.
- სასოფლო-სამეურნეო იარაღების ქირაობა: 268, 269, 270, 271, 272.
- ნავის დაქირავება: 275, 276, 277.

მონები: ეს კანონები მოიცავს მონების ყიდვა-გაყიდვას, მათი იდენტიფიკაციას და სამართლებრივ სტატუსს.

- მონების ყიდვა-გაყიდვა: 278, 279, 280, 281.

- მონების იდენტიფიკაცია და სასჯელი: 226, 227, 282.
- მონების გატაცება და დამალვა: 14, 15, 16, 17, 18, 19, 20.

ვაჭრობა და ფინანსები: ეს კანონები განიხილავს ფინანსურ ოპერაციებს, სესხებს, პროცენტებსა და ვაჭრობას.

- სესხები და პროცენტები: 103, 104, 105, 106, 107.
- ვაჭრებს შორის ურთიერთობა: 100, 103, 104, 105, 106, 107.
- გირავნობა და ქონების მითვისება: 108, 109, 110, 111, 112, 113.
- ვალის დაფარვა: 114, 115, 116, 117, 118, 119.
- ქონების შესანახად მიზარება: 120, 121, 122, 123, 124, 125, 126.

ცხოველები: ეს ჯგუფი მოიცავს კანონებს, რომლებიც ეხება პირუტყვის ქირაობას, მოვლას და მათ მიერ მიყენებულ ზარალს.

- ცხოველების ქირაობა: 241, 242/243, 244, 245, 246, 247, 248, 249.
- ცხოველებისგან მიყენებული ზიანი: 250, 251, 252.

გ) ეპილოგი ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს:

მიღწევების შეჯამება და თვითქება: ხამურაბი ხაზს უსვამს, რომ მან თავისი მმართველობის პერიოდში ქვეყანას წესრიგი, მშვიდობა და კეთილდღეობა მოუტანა. ის თავს წარმოაჩენს, როგორც იდეალურ მმართველს, რომელიც ღმერთების რჩეულია და მათ მიერ ბოძებული სიბრძნითა და ძალით მართავს. ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სუსტების – ობლებისა და ქვრივების – დაცვას, რაც მისი სამართლიანობის მთავარ დასტურად მიაჩნია.

კანონების დანიშნულების განმარტება: ეპილოგი ნათლად აცხადებს, რომ კანონთა კრებული საჯარო ჩვენებისთვისაა შექმნილი. ნებისმიერ შევიწროებულ ადამიანს შეუძლია მივიდეს სტელასთან, წაიკითხოს იგი, იპოვოს სამართალი და გული დაიმშვიდოს. ეს მოწმობს, რომ კანონები არა მხოლოდ მმართველების, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქეების საკეთილდღეოდაც არსებობდა.

მომავალი მმართველებისადმი მიმართვა: ხამურაბი მომავალ მეფეებს მოუწოდებს, დაიცვან და არ შეცვალონ მის მიერ დადგენილი კანონები. ის ჰპირდება მათ კურთხევასა და წარმატებას, თუ მის ნებას გაითვალისწინებენ.

საშინელი წყევლა-კრულვა: ეს ყველაზე მკაფიო ნაწილია ეპილოგისა. ხამურაბი დეტალურად აღწერს საშინელ წყევლებს, რომლებიც სხვადასხვა ღვთაებისგან (ანუ, ენლილი, შამაში, იშთარი და სხვ.) ეწევათ მათ, ვინც მის კანონებს დაამახინჯებს ან მის ძეგლს შეურაცხყოფს. წყევლა მოიცავს მეფობის დაკარგვას, სიღარიბეს, შიმშილს, ავადმყოფობას, არეულობას და სამეფოს სრულ განადგურებას. ეს მიზნად ისახავს კანონების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას და ხამურაბის მემკვიდრეობის დაცვას.

ეპილოგი აჯამებს მის მიღწევებს, აძლიერებს კანონების ღვთაებრივ ლეგიტიმურობას და იცავს მათ მომავალი ცვლილებებისგან.

საძიებო სიტყვები: ასირიოლოგია, მესოპოტამია, ბაბილონი, კანონები, ხამურაბი.

კანონები

პროლოგი

- (i 1-26). როდესაც უზენაესმა¹ ღვთაებამ ანუმ, მეუფემ ანუნაქთა,² (და) ღვთაება ენლილმა³ – ცისა და მიწის მბრძანებელმა, რომელიც ქვეყანაზე ბედს განსაზღვრავს, ღვთაება მარდუქს,⁴ ღვთაება ეას⁵ პირმშოს ყველა ხალხზე უზენაესი ძალაუფლება მიანიჭა, აამაღლა იგი იგიგთა⁶ შორის, ბაბილონს მისი ამაღლებული სახელი უწოდა და იგი უზენაესი გახადა ქვეყნიერების ყველა მხარეში და დაუმკვიდრა მასში მარადიული მეფობა, რომლის საფუძველიც მყარია, მსგავსად ცისა და მიწის.
- (i 27-49). იმ ხანად მე, ხამურაბი, გასაოცარი⁷ უფლისწული, ღვთისმომშიში, ქვეყნად სამართლიანობის⁸ დასამკვიდრებლად, ბოროტების და ღვარძლის გასაქრობად, ძლიერმა რომ სუსტი არ დაჩაგროს, შამაშივით⁹ შუმერებზე¹⁰ ასამაღლებლად, ქვეყნის გასაბჭყინებლად, ხალხთა ბედნიერებისთვის ჩემი სახელი ღვთაებებმა ანმა და ენლილმა გააცხადეს.
- (i 50-62). მე ვარ ხამურაბი, ღვთაება ენლილისგან ხმობილი,¹¹ მწყემსი, სიუხვისა და სიმდიდრის¹² შემქნელი, ქალაქ ნიფურისთვის¹³ ყველაფრის¹⁴ სრულმყოფელი (ქალაქისა, რომელიც ცნობილია როგორც) ცისა და მიწის კავშირი, მზრუნველი¹⁵ და მეხოტბე¹⁶ ექურის¹⁷ ტაძრისა.
- (i 63-ii 1). ძლევამოსილი მეფე, ქალაქ ერიდუს¹⁸ აღმდგენელი, ეაბზუს ტაძრის რიტუალებით განმწმენდელი:
- (ii 2-12). გრიგალი¹⁹ სამყაროს ოთხი კუთხისა²⁰, ბაბილონის სახელის განმადიდებელი, ღვთაებრივი მეუფის მარდუქის გულის გამხარებელი, დღენიადაგ ესაგილას²¹ ტაძრისთვის მსახურებაში მყოფი.
- (ii 13-21). მეფეთა შთამომავალი, ღვთაება სინის²² მიერ შექმნილი, ქალაქ ურის²³ გამდიდებელი, ღვთისმოსავი მლოცველი, ექიმნუგალის ტაძრისთვის სიუხვის მომტანი:

¹ siru(m) – ამაღლებული, უზენაესი, ბრწყინვალე, გამორჩეული.

² ქვესკნელის ღვთაებები.

³ ჰაერის; ცისა და მიწის/ სამყაროს ღვთაება.

⁴ ბაბილონის მფარველი, ბაბილონური პანთეონის უზენაესი ღვთაება, ბაბილონური კოსმოგონიის მიხედვით, მარდუქი იყო სამყაროს შემქმნელი ღვთაება.

⁵ წყლის, წყაროების, სიბრძნის ღვთაება.

⁶ ციური ღვთაებები.

⁷ na'du(m) – ყურადღებიანი, გასაოცარი.

⁸ mišaru – სამართლიანობა, სამართალი.

⁹ მზის, სამართლიანობის ღვთაება.

¹⁰ šalmat qaqqadi – შავთავიანები, შუმერები.

¹¹ nibītu – ხმობილი, სახელი.

¹² ṭahādu (u) – სიმდიდრე, სიმდიდრის მოხვეჭა.

¹³ ღვთაება ენლილის საკულტო ქალაქი, დღ. ნუფარი.

¹⁴ mimma šumša – ყველაფერი, ყველა.

¹⁵ zanānu l (u/u) – მომვლელი, ყურადღების მიმქცევი.

¹⁶ nādu (a) – ქება-დიდება, ხოტბის შესხმა.

¹⁷ ენლილის ტაძარი ქ. ნიფურში.

¹⁸ დღ. აბუ-შაჰრეინი.

¹⁹ tibu(m), tibu(m) – "arousal, attack" Bab. [ZI(GA); Susa KUR] "onslaught" in battle; "uprising" against state; "attack" of animal; "onset" of wind, storm.

²⁰ kibrātu – სამყაროს ნაპირი, სამყაროს კუთხე.

²¹ მარდუქის ტაძარი ბაბილონში.

²² მთვარის ღვთაება.

²³ დღ. ქალაქ თელ-მუჟაიარი.

- (ii 22-31). გამჭრიახი მეფე, ძლევამოსილი ღვთაების შამაშის მორჩილი, ქალაქ სიფარის²⁴ სამირკვლის ჩამყრელი, ქალღმერთ აიას²⁵ წმინდა ნაგებობის მწვანით შემოსველი, ზეცის სამყოფელის სადარი ებაბარის²⁶ ტაძრის ამგები;
- (ii 32-36). მეომარი²⁷, ქალაქ ლარსას²⁸ მწყალობელი, შემწე, ღვთაება შამაშისთვის ებაბარის ტაძრის განმანათლებელი.
- (ii 37-47). მეუფე, ქალაქ ურუქის²⁹ მაცოცხლებელი, მისი ხალხისთვის უხვი წყლებით უზრუნველყოფელი, ეანას ტაძრის ამმალელებელი, ღვთაებების ანუსა და იშთარისთვის სიმდიდრის დამგროვებელი;
- (ii 48-54). ქვეყნის მფარველი, ქალაქ ისინის გაფანტული ხალხის შემკრები, ეგალმახის ტაძრის უხვად მომარაგებელი;
- (ii 55-67). მეფეთა შორის გველეშაპი³⁰, ღვთაება ზაბაბას საყვარელი ძმა³¹, ქიშის³² ადგილის³³ დამფუძნებელი, ემეთურსაგის ტაძრის ბრწყინვალეების მომფენი, ქალღმერთ იშთარისთვის დიდი რიტუალების შემსრულებელი, ხურსაგქალამას³⁴ ტაძრის ხელმძღვანელი;
- (ii 68-iii 6). მტრის დამჭერი (ღვთაების) ბადე³⁵, რომელსაც ღვთაება ერამ³⁶ მისმა მოყვასმა გულის სურვილი აუსრულა; ქალაქ ქუთუს³⁷ განმადიდებელი, ემესლამის ტაძრისთვის ყველაფრის გამამრავლებელი;
- (iii 7-16). მრისხანე ველური ხარი, მტერთა მრქენელი, ღვთაება თუთუს³⁸ საყვარელი, ქალაქ ბორსიფას სიხარულის მიმნიჭებელი, შეუწყვეტელი ღვთისმოსავი ეზიდას ტაძრისა, მეფეთა ღვთის <სამყოფელისა>;
- (iii 17-23). სიბრძნით გაჯერებული, ქალაქ დილბათის³⁹ ნათესების გამფართოებელი, ძლევამოსილი ღვთაება ურაშისთვის ბელლების ამცები;
- (iii 24-35). მეუფე, ღირსი კვერთხისა და გვირგვინისა, რომელიც მას ბრძენმა ქალღმერთმა მამამ⁴⁰ უბოძა; ქალაქ ქიშის საზღვრების დამდგენელი, ქალღმერთ ნინთუსთვის წმინდა საკვების შემწირველი;
- (iii 36-46). გონიერი, კეთილშობილი, ქალაქების ლაგაშსა⁴¹ და გირსუსთვის საძოვრების და სარწყავის გამომყოფელი, ენინუს ტაძრისთვის უამრავი საკვების შემწირველი;
- (iii 47-54). მტერთა შემპყრობელი, იშთარის⁴² რჩეული, ქალაქ ზაბალას⁴³ მისნობის სრულყოფელი,⁴⁴ ქალღმერთ იშთარის გულის გამხარებელი;

²⁴ დდ. აბუ-ჰაბა.

²⁵ შამაშის ცოლი, მცენარეულობის ქალღმერთი.

²⁶ შამაშის ტაძარი.

²⁷ qarrādu (UR.SAG) – მეომარი, გმირი.

²⁸ დდ. სენქერე.

²⁹ დდ. ვარქა. ქალღმერთ იშთარისა და ღვთაება ანუს საკულტო ცენტრი.

³⁰ ušumgallu (GAL.UŠUM) – გველეშაპი, მეფის ეპითეტი.

³¹ talīmu – საყვარელი/გამორჩეული ძმა.

³² დდ. ალ-უჰაიმირი.

³³ šubtu (KI.DÚR) – ბინა, საცხოვრებელი, ადგილი.

³⁴ ქ. ქიშის გარეუბანი.

³⁵ saparu(m), saparru, saparru "(deity's) net" O/JB [SA.PAR] in hunting, for enemies.

³⁶ შავი ჭირის ღვთაება.

³⁷ დდ. თელ-იბრაჰიმი.

³⁸ მარდუქის შვილი, ბორსიფას ღვთაება.

³⁹ დდ. დელემი.

⁴⁰ ნაყოფიერების დედა-ქალღმერთი.

⁴¹ დდ. თელო.

⁴² telītu – საქმის მცოდნე, იშთარის ეპითეტი.

⁴³ = ქ. ალეპო?

⁴⁴ ანუ მისნური წინასწარმეტყველების შემსრულებელი.

- (iii 55-64). ბრწყინვალე უფლისწული, რომლის ლოცვებს ღვთაება ადადი აღიარებს, ქალაქ ქარქარაში მეომარი ღვთაება ადადის გულის დამამშვიდებელი, ეუდგალგალის ტაძარში საქმეების სათანადოდ მომწესრიგებელი;
- (iii 65-69). მეფეთ მეფე, ქალაქ ადაბის⁴⁵ სიცოცხლის მიმნიჭებელი, ემახის ტაძრისთვის მზრუნველი;
- (iii 70-iv 6). მეფეთა მზრუნველი, შეუდარებელი მეომარი, ქალაქ მაშან-შაფირისთვის სიცოცხლის მიმნიჭებელი, ემესლამის ტაძრისთვის უხვად წყლის მიმცემი;
- (iv 7-22). ბრძენი განმგებელი, რომელიც ყველა სიბრძნეს დაეუფლა, ძნელბედობისას ქალაქ მალგიუმის ხალხს შემფარებელი, მათთვის დასახლებათა უხვად დამაარსებელი, მეფობის განმადიდებელი ღვთაებების ენქისა და დამქინასთვის წმინდა საკვების სამარადჟამოდ შემწირველი;
- (iv 23-31). მეფეთა შორის უპირველესი, რომელიც იმორჩილებს მდინარე ევფრატის გასწვრივ დასახლებებს მისი შექმნილი ღვთაება დაგანის სიტყვით, რომელმაც შეიწყალა ქალაქების მარისა⁴⁶ და თუთულის⁴⁷ მოსახლეობა;
- (iv 32-44). ღვთისმოსავი მთავარი, ღვთაება თიშფაქის⁴⁸ სახის გამაბრწყინებელი, ქალღმერთ ნინაზუსთვის⁴⁹ წმინდა დღესასწაულების დამდგენელი, ძნელბედობის ჟამს⁵⁰ თავისი ხალხის მშველელი,⁵¹ ბაბილონში მათი საფუძვლის მშვიდობით გამამყარებელი;
- (iv 45-52). ხალხის მწყემსი, რომლის საქმევ სასიამოვნოა ქალღმერთ იშთარისთვის, რომელიც მშვიდობიანად ამყოფებს⁵² იშთარს ეულმაშის ტაძარში აქადის შუაგულში;
- (iv 53-58). სიმართლის განმცხადებელი, ხალხის სწორი გზით წარმართველი, ქალაქ აშურისთვის მისი მოწყალე მფარველი სულის დამზრუნველი;
- (iv 59-63). აჯანყებულების ჩამხშობი, მეფე, ქალაქ ნინევეში, ემესმესის ტაძარში, ქალღმერთი იშთარისთვის რიტუალების დამწესებელი;
- (iv 64-v 13). ღვთისმოსავი, განუწყვეტლივ დიდი ღვთაებებისთვის მლოცველი, სუმუ-ლა-ელის შთამომავალი, სინ მუბალიტის ძლიერი მემკვიდრე, სამეფოს მარადიული თესლი, ძლევამოსილი მეფე, ბაბილონის მზე, შუმერისა და აქადის მიწებზე სინათლის მომფენელი, მეფე, ოთხი მხარის დამმორჩილებელი, ქალღმერთ იშთარის საყვარელი⁵³, ეს მე ვარ.
- (v 14-24). როდესაც ღვთაება მარდუქმა, ქვეყნის ხალხის მოსაწესრიგებლად კარგ ზნეთა და საქმეთა სწავლება⁵⁴ მიბრძანა, მე დავადგინე კანონი და სამართლიანობა, ხალხს კეთილდღეობა მივანიჭე.
- (v 25). იმ ჟამად:

კანონები

- (v 26-32). თუკი კაცი სხვა კაცს დაადანაშაულებს, მკვლელობას დააბრალებს, მაგრამ ვერ დაუმტკიცებს, მისი ბრალმდებელი უნდა მოკვდეს.
- (v 33-56). თუკი კაცი სხვა კაცს ჯადოქრობას დააბრალებს, მაგრამ ვერ დაუმტკიცებს, ბრალდებული მივა წმინდა მდინარესთან გამოსაცდელად. თუკი წმინდა მდინარე მას განსაცდელში ჩააგდებს (და ვერ გადარჩება), მისი ბრალმდებელი მთლიანად

⁴⁵ დდ. ბისმაია.

⁴⁶ დდ. თელ-ჰარირი.

⁴⁷ დდ. ჰითი.

⁴⁸ თიშფაქი დაკავშირებული იყო ძველ ქალაქ ეშუნასთან. ის ძირითადად ომის ღვთაებაა.

⁴⁹ „კურნების უფალი“, ქვესკნელის ერთ-ერთი ღვთაება, რომელიც განაგებს მკურნალობის საქმეს.

⁵⁰ pušqu – სიძნელე, საჭიროება.

⁵¹ satapu(m) "to preserve (life), rescue".

⁵² šulmāniš – კარგად, მშვიდობიანად ყოფნა.

⁵³ migru – საყვარელი

⁵⁴ usu(m) I, ussu "usage, custom, good practice", u. suhuzu(m) "to teach good practices".

- კანონიერად დაეუფლება მის ქონებას. თუკი ეს კაცი წმინდა მდინარის განსაცდელს გაუძლებს, და თუკი გადარჩება, ის, ვინც მას ჯადოქრობა დააბრალა, უნდა მოკვდეს. (ხოლო) ის, ვინც წმინდა მდინარის განსაცდელს გადაურჩება, მისი ბრალმძებლის ქონებას დაეუფლება.
3. (v 57-67). თუკი კაცი საქმეზე ჩვენებას მისცემს, მაგრამ თავის ბრალდებაზე მტკიცებულებებს ვერ მოიტანს, და თუკი ეს სიცოცხლეს ეხება⁵⁵, ეს კაცი უნდა მოკვდეს.
 4. (v 68-vi 5). თუკი იგი (საქმეზე ცრუ) ჩვენებას⁵⁶ მისცემს, და (თუკი ეს) ხორბალს⁵⁷ ან ვერცხლს (ეხება), მას ამ საქმეზე სასჯელი დაეკისრება.
 5. (vi 6-30). თუკი მოსამართლე საქმეს განიხილავს, განაჩენს გამოიტანს და საბეჭდავით დაამოწმებს. შემდეგ კი ამ საქმის განაჩენს შეცვლის, ამ მოსამართლეს მის მიერ გამოტანილი განაჩენის შეცვლის გამო ამხელენ. ის (ამ საქმის) განაჩენის (შესაბამის ჯარიმას) თორმეტმაგად გადაიხდის. ამასთან, მას მოსამართლის ტახტსაც ჩამოაშორებენ და მოსამართლეებთან ერთად ვედარასოდეს დაჯდება.
 6. (vi 31-40). თუკი კაცი ღვთაების ან სასახლის ქონებას მოიპარავს, ის უნდა მოკვდეს და ვინც მისგან მოპარული მიიღო, (ისიც) უნდა მოკვდეს.
 7. (vi 41-56). თუკი კაცი ან ვერცხლს, ან ოქროს, ან მონა კაცს, ან მონა ქალს, ან ხარს, ან ცხვარს, ან ვირს ან რაიმე სხვას, კაცის ვაჭიშვილისგან ან კაცის მსახურისგან მოწმეების ან ხელშეკრულების გარეშე იყიდის, ან თუ ქონებას შესანახად მიიბარებს,⁵⁸ ეს კაცი ქურდია, და უნდა მოკვდეს.
 8. (vi 57-69). თუკი კაცი მოიპარავს ან ხარს, ან ცხვარს, ან ვირს, ან ღორს ან ნავს, თუკი ღვთაებისა, თუკი სასახლისა, ოცდაათმაგად უნდა მისცეს; თუკი დამოკიდებულისა (= მუშქენისა) – ათმაგად დააბრუნებს. თუკი ქურდს გასაცემი არაფერი ახადია, უნდა მოკვდეს.
 9. (vi 70-vii 47). თუკი კაცი აცხადებს, რომ დაკარგა ქონება, შემდეგ აღმოაჩენს თავის დაკარგულ ქონებას სხვა ადამიანის ხელში (= მფლობელობაში). მაგრამ ადამიანი, რომლის ხელშიც (= მფლობელობაშიც) დაკარგული ქონება აღმოაჩინეს, იტყვის: „გამყიდველმა მომყიდა ის, მე ვიყიდე მოწმეების თანდასწრებით!“ და დაკარგული ქონების მფლობელი განაცხადებს: „მოვიყვან მოწმეებს, რომლებსაც შეუძლიათ ჩემი დაკარგული ქონების ამოცნობა!“ (შემდეგ) მყიდველი მოიყვანს იმ გამყიდველს, რომელმაც მიჰყიდა და მოწმეებს, რომელთა თანდასწრებითაც იყიდა. (ასევე) დაკარგული ქონების მესაკუთრე მოიყვანს იმ მოწმეებს, ვისაც შეუძლია მისი დაკარგული ქონების ამოცნობა. მოსამართლეები განიხილავენ მათ საქმეებს. მოწმეები, რომელთა თანდასწრებითაც შეისყიდეს და მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ დაკარგული ქონების ამოცნობა, მათთვის ცნობილ ფაქტებს ღვთაების წინაშე განაცხადებენ. (მაშინ) ეს (ნამდვილი) გამყიდველია, (ხოლო) ვინც ქურდია, ის უნდა მოკვდეს. დაკარგული ნივთის პატრონმა უნდა დაიბრუნოს დაკარგული ქონება, მყიდველი კი გამყიდველის სახლიდან თავის მიერ მიწონილ ვერცხლს დაიბრუნებს.
 10. (vii 48-61). თუკი მყიდველმა ვერ მოიყვანა გამყიდველი (რომელმაც მას მიჰყიდა დაკარგული ქონება) ან მოწმეები, რომელთა წინაშეც მან შეისყიდა, მაგრამ დაკარგული ქონების მფლობელს შეუძლია მოწმეების მოყვანა, რომლებიც მის

⁵⁵ სიტყვ.: სიცოცხლის საქმე.

⁵⁶ ობ(i); pl. ობu, ობutu – ჩვენება, ჩვენების მიცემა; მოწმე, მოხუცი კაცი.

⁵⁷ ოe'u (ᏊE) – ხორბალი, ქერი, ემერი, ზოგადად მარცვლულსაც აღნიშნავს, მაგრამ ტექსტებში სავარაუდოდ იგულისხმება ხორბალი, როგორც ცალკე არებული კულტურული მცენარე, ან „ხორბალი“ საერთოდ მარცვლულების განზოგადებულ სახელად შეიძლება მივიჩნიოთ.

⁵⁸ ანუ თანამზრახველიც ისჯება.

- დაკარგულ ქონებას ამოიცივნებენ, მაშინ მყიდველი ქურდია და ის უნდა მოკვდეს. დაკარგული ნივთის მფლობელი თავის დაკარგულ ქონებას წაიღებს.
11. (vii 62-viii 3). თუკი დაკარგული ქონების მფლობელი დაკარგული ქონების ამომცნობ მოწმეებს ვერ მოიყვანს, ის მატყუარაა, ცილი დასწამა. ის უნდა მოკვდეს.
 12. (viii 4-13). თუკი გამყიდველი გარდაიცვლება⁵⁹ (სიტყვ. თავის ბედზე წავა), მყიდველმა გამყიდველის სახლიდან სასამართლო სარჩელის საქმეზე ხუთმაგი უნდა მიიღოს.
 13. (viii 14-24). თუკი კაცის მოწმეები ხელმოუწვდომელია, მოსამართლეები აგრძელებენ (საქმის წარმოებას) ექვსი თვის ვადით. მაგრამ თუკი მოწმეებს მეექვსე თვესაც არ მოიყვანს, ეს კაცი მატყუარაა, მას ამ საქმისთვის სასჯელი დაეკისრება.
 14. (viii 25-29). თუკი კაცმა უსაკო კაცის ვაჟიშვილი გაიტაცა, ის უნდა მოკვდეს.
 15. (viii 30-36). თუკი კაცმა სასახლის მონა კაცი, ან სასახლის მონა ქალი, ან დამოკიდებულის (= მუშქენის) მონა კაცი, ან დამოკიდებულის მონა ქალი ქალაქის მთავარი კარიბჭით გაიყვანა, ის უნდა მოკვდეს.
 16. (viii 37-48). თუკი კაცი თავის სახლში შეიფარებს სასახლიდან ან დამოკიდებულისგან (= მუშქენისგან) გაქცეულ მონა კაცს ან მონა ქალს, და მაცნეების (სახალხო) გამოცხადებაზე არ გამოიყვანს, ის სახლის პატრონი უნდა მოკვდეს.
 17. (viii 49-58). თუკი კაცი გაქცეულ მონა კაცს ან მონა ქალს ქალაქგარეთ დაიჭერს და თავის პატრონთან მიიყვანს, მსახურის პატრონმა მას 2 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.
 18. (viii 59-67). თუკი მონა კაცი თავის პატრონის ვინაობაზე უარს იტყვის (= არ გააცხადებს), ის წაიყვანს მას სასახლეში, გამოიძიებენ⁶⁰ და მას მფლობელს დაუბრუნებენ.
 19. (viii 68-ix 4). თუკი ის (= კაცი) მონა კაცს საკუთარ სახლში დააკავებს და შემდეგ მონა კაცს მის ხელში (= მფლობელობაში) აღმოაჩენენ, ის კაცი უნდა მოკვდეს.
 20. (ix 5-13). თუკი მონა კაცი დამჭერს ხელიდან გაექცევა, ამ კაცმა მსახურის პატრონს ღვთაებაზე უნდა დაუფიცოს და გათავისუფლება.
 21. (ix 14-21). თუკი კაცმა სახლს ხვრელი გაუკეთა, ამ ხვრელის წინ უნდა მოკლან და ჩამოკიდონ.
 22. (ix 22-27). თუკი კაცმა ძარცვა ჩაიდინა და შეიპყრობენ, ეს კაცი უნდა მოკვდეს.
 23. (ix 28-45). თუკი მძარცველს ვერ შეიპყრობენ, გამარცხულმა კაცმა თავისი დაკარგული ქონების ოდენობა ღვთაების წინაშე უნდა განაცხადოს და ქალაქმა და ქალაქის თავმა,⁶¹ რომლის მიწაზე ან საზღვრებშიც მოხდა ძარცვა, უნდა უზღონ დაკარგული ქონება.
 24. (ix 46-50). თუკი (ძარცვისას) ვინმე მოკვდება, ქალაქმა და ქალაქის თავმა მისიანებს⁶² 1 მინა ვერცხლი უნდა მიუწონონ.
 25. (ix 51-65). თუკი კაცის სახლში ცეცხლი გაჩნდება, საშველად მოსული კაცი კი სახლის პატრონის ნივთებს თვალს დაადგამს და სახლის პატრონის ნივთებს წაიღებს, ეს კაცი იმავე ცეცხლში უნდა ჩააგდონ.
 26. (ix 66-x 12). თუკი *რედუ*⁶³ ან *ბაირუ*⁶⁴, რომელსაც სამეფო ლაშქარში გასვლა ებრძანა, არ გავა ან ქირისკაცს დაიქირავეს და თავის ნაცვლად გაგზავნის, ეს *რედუ* ან *ბაირუ* უნდა მოკვდეს! დამსმენი მის მთელ ქონებას მიისაკუთრებს.
 27. (x 13-29). თუკი *რედუ* ან *ბაირუ*, რომელიც სამეფო ციხე-სიმაგრეში მსახურებისას ტყვედ ჩავარდა, ხოლო მისი ყანა და ბაღი სხვას გადაეცემა, რათა მის ნაცვლად იმსახუროს,

⁵⁹ სიტყვ. თავის ბედზე წავა.

⁶⁰ warkata parāsu – სასამართლო საქმის გამოკვლევა, გამოძიება.

⁶¹ rabianu – ქალაქის მმართველი მეთაური, მეფის მიერ დანიშნული.

⁶² = მის ოჯახს, მის სახლს.

⁶³ redu(m) – სამხედრო, ჯარისკაცი, მეზრძოლი. სამხედრო სამსახურისთვის მეფისგან ეძლეოდათ მიწა, ბაღი, სახლი, რომელთა გასხვისება არ შეიძლებოდა.

⁶⁴ ba'eru(m), ba'iru(m) – თევზის/ფრინველების მჭერი, მეთევზე/მებაღური/მონადირე, შესაძლოა სამხედრო მომმარაგებელი იყო.

- (თუკი) იგი უკან დაბრუნდება და თავის თემს⁶⁵ მიაღწევს, მიწა⁶⁶ და ბაღი უნდა დაუბრუნონ და ის კვლავინდებურად სამხედრო სავალდებულო სამსახურში⁶⁷ უნდა ჩადგეს.
28. (x 30-40). თუკი *რედუ* ან *ბაირუ* სამეფო ციხე-სიმაგრეში მსახურებისას ტყვედ წაიყვანეს, ხოლო მის შვილს შეუძლია სავალდებულო სამსახურის შესრულება, მიწა და ბაღი მას უნდა გადაეცეს და მამის ნაცვლად სამხედრო სავალდებულო სამსახურში უნდა ჩადგეს.
29. (x 41-50). თუკი მისი შვილი ყრმაა და მამის ნაცვლად სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩადგომას ვერ შეძლებს, (მაშინ) მიწის და ბაღის მესამედი დედამისს უნდა გადაეცეს და დედამისი გაზრდის მას.
30. (x 51-xi 4). თუკი *რედუ* ან *ბაირუ* თავის მიწას, ბაღსა და სახლს სამხედრო სავალდებულო სამსახურის (თავიდან აცილების) გამო დააგდებს და გადაიხვეწება, ხოლო მის მიწას, ბაღსა და სახლს სხვა ვინმე დაიკავებს და სამი წლიან სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩადგება, თუკი იგი დაბრუნდება და მოითხოვს თავის მიწას, ბაღსა და სახლს, მას უკან აღარ მიეცემა. ვინც დაიკავა მისი ადგილი და სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩადგა, მანვე უნდა გააგრძელოს მსახურება.
31. (xi 5-12). თუკი მხოლოდ ერთ წელს იქნება გადახვეწილი და დაბრუნდება, მისი მიწა, ბაღი და სახლი უკან უნდა დაუბრუნდეს და სამხედრო სავალდებულო სამსახურშიც თავად ჩადგეს.
32. (xi 13-38). თუკი *რედუ* ან *ბაირუ* სამეფო ლაშქრობისას ტყვედ აიყვანეს, ხოლო ვაჭარმა⁶⁸ გამოისყიდა იგი და თავის ქალაქში დააბრუნა – თუკი მის სახლში მოიპოვება გამოსასყიდი (თანხა), თავად გამოისყიდოს თავი; თუკი მის სახლში არ მოიპოვება გამოსასყიდი (თანხა), ქალაქის ტაძარმა გამოისყიდოს იგი; ხოლო თუკი ქალაქის ტაძარში არ მოიპოვება გამოსასყიდი (თანხა), სასახლემ გამოისყიდოს იგი. მისი მიწა, ბაღი და სახლი გამოსასყიდად არ უნდა გაიცეს.
33. (xi 39-50). თუკი *დექუშ*⁶⁹ ან *ლუფუთუშ*⁷⁰ დათხოვნილი ჯარისკაცი იყოლია ან სამეფო ლაშქრობაში (თავის) სანაცვლოდ სხვა დაიქირავა, ეს *დექუ* ან *ლუფუთუ* უნდა მოკვდეს!
34. (xi 51-64). თუკი *დექუშ* ან *ლუფუთუშ* მიითვისა *რედუს* სახლის ნივთები, შეავიწროვა *რედუ*, გააქირავა იგი, სასამართლოს გზით გავლენიან ადამიანს ჩაუგდო ხელთ ან მეფის ნაბოძები საჩუქარი წაართვა, ეს *დექუ* ან *ლუფუთუ* უნდა მოკვდეს!
35. (xi 65-xii 4). თუკი კაცი შეიძენს *რედუსგან* მსხვილფეხა ან წვრილფეხა საქონელს, რომელიც მეფემ მისცა *რედუს*, იგი დაკარგავს თავის გადახდილ ვერცხლს.
36. (xii 5-9). *რედუს*, *ბაირუს* ან სახელმწიფო მოიჯარის მიწა, ბაღი ან სახლი ვერცხლზე არ გაიცემა.⁷¹
37. (xii 10-21). თუკი კაცი იყიდის *რედუს*, *ბაირუს* ან სახელმწიფო მიწის მოიჯარის⁷² მიწას, ბაღს ან სახლს, მისი ფირფიტა უნდა დაიმტვრეს⁷³ და იგი თავის ვერცხლს დაკარგავს. მიწა, ბაღი და სახლი პატრონს დაუბრუნდება.

⁶⁵ = სახლს, დასახლებას, საცხოვრისს.

⁶⁶ = ყანა, სახნავ-სათესი.

⁶⁷ = სამხედრო ბეგარა.

⁶⁸ tamkāru – ვაჭარი.

⁶⁹ dekū(m) – სამხედრო წოდება, კაპიტანი.

⁷⁰ laputtū(m), luputtū – სამხედრო წოდება, ლეიტენანტი, ოფიცერი, ინსპექტორი.

⁷¹ = ანუ მისი გაყიდვა არ შეიძლება.

⁷² naš(i) biltim – სახელმწიფო მიწის მოიჯარე, ის ვინც მისთვის გადაცემული მიწის, ბაღისა და სახლის სანაცვლოდ სამსახურს ასრულებს.

⁷³ ანუ საბუთი, ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს.

38. (xii 22-30). *რედუ*, *ბაირუს* ან სახელმწიფო მიწის მოიჯარე მისი სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან მიღებული მიწის, ბაღის ან სახლის ნაწილს ვერ მისცემს თავის ცოლს ან ქალიშვილს, ასევე ვალის სახითაც ვერ გასცემს.
39. (xii 31-38). მას შეუძლია მისცეს თავის ცოლს ან ასულს ან ვალში გასცეს მხოლოდ ის მიწა, ბაღი, ან სახლი, რომელიც თვითონ აქვს შეძენილი.
40. (xii 39-48). *ნადითუს*,⁷⁴ *ვაჭარს*⁷⁵ ან ვინმე მსახურეულს⁷⁶ შეუძლია გაყიდოს თავისი მიწა, ბაღი და სახლი; მყიდველი ვალდებულია შეძენილ მიწაზე ბაღზე ან სახლზე შეასრულოს სამსახურეობრივი მოვალეობა.
41. (xii 49-62). თუკი კაცი *რედუს*, *ბაირუს* ან სახელმწიფო მიწის მოიჯარეს მიწას, ბაღს და სახლს გაუცვლის და კომპენსაციასაც⁷⁷ მისცემს, *რედუს*, *ბაირუს* ან სახელმწიფო მიწის მოიჯარეს შეუძლია თავისი მიწა, ბაღი ან სახლი დაიბრუნოს და ასევე გადახდილი კომპენსაციაც დაიტოვოს.
42. (xii 63-xiii 5). თუკი კაცი მინდორს დასათესად იქირავებს, მაგრამ მინდორზე ხორბალს არ დათესავს, მინდორში საჭირო სამუშაოს შეუსრულებლობისთვის უნდა ამხილონ⁷⁸. მან მინდვრის მფლობელს ხორბალი მისი მომიჯნავე მიწის მოსავლიანობის შესაბამისად უნდა გადაუხადოს.
43. (xiii 6-16). თუკი (კაცი საერთოდ) არ დაამუშავეს მინდორს, ისე დატოვებს, მან მინდვრის მფლობელს ხორბალი მისი მომიჯნავე მიწის მოსავლიანობის შესაბამისად უნდა გადაუხადოს. ასევე მიტოვებული მინდორი უნდა დახნას, დაფარცხოს და მინდვრის მფლობელს დაუბრუნოს.
44. (xiii 17-34). თუკი კაცი ადრე დაუმუშაველ მინდორს⁷⁹ გასატეხად სამი წლით იქირავებს, მაგრამ იზარმაცებს⁸⁰ და მინდორს არ გატეხს, მეოთხე წელს მიტოვებული მინდორი უნდა დახნას, დაბაროს, დაფარცხოს და მინდვრის მფლობელს დაუბრუნოს. გარდა ამისა, მან 1 ბურზე 10 გური ხორბალი უნდა აურწყას.⁸¹
45. (xiii 35-46). თუკი კაცი თავის მინდორს მთესველს მიაქირავებს და თავისი მინდვრის ქირას აიღებს, შემდეგ კი ქარიშხლის ღვთაება ადადი გაანადგურებს მინდორს ან წყალდიდობა წაღუკავს, ზარალი მხოლოდ მიწის დამმუშავებლისაა.
46. (xiii 58-70). თუკი (კაცს სტიქიამდე) თავისი მინდვრის ქირა⁸² არ აუღია, ან მინდვრის (მოსავლიანობის) ნახევარი (წილი) ან მესამედი (წილი იჯარით) ჰქონდა გაცემული, (სტიქიის შემდეგ) მინდორში დარჩენილი ხორბალი მთესველმა და მიწის მფლობელმა (შეთანხმებული პროპორციების) თანახმად უნდა გაიყოს.
47. (xiii 58-70). თუკი მთესველი იმის გამო, რომ წინა წელს თავისი ხარჯები არ ამოუღია (მაინც) იტყვის: „მიწას (კვლავ) დავამუშავე“. მინდვრის მფლობელი წინააღმდეგი არ იქნება. მთესველი თავის მინდორს დაამუშავეს და ხორბლის მოსავალს ხელშეკრულების მიხედვით მიიღებს.
48. (xiii 71-xiv 17). თუ კაცს (ვინმეს) ვალი აქვს და მის მინდორს ამინდის ღვთაება ადადი გაანადგურებს, ან წყალდიდობა წაღუკავს, ან მინდორში ხორბალი უწყლობის გამო არ

⁷⁴ nadîtu(m) – „შეწირული“, ღვთისმსახურ/ქურუმ ქალთა კატეგორია, რომელსაც სამეფო მიწაზე წილი აქვს.

⁷⁵ tamkāru(m), damk/gāru – ვაჭარი, გარკვეული კაპიტალის მქონე ადამიანი, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა სავაჭრო და ფინანსურ ოპერაციებს.

⁷⁶ ilku(m) – სახელმწიფოს სამსახური (სამხედრო თუ სამოქალაქო), ანუ მსახური/მოსამსახურე პირი, ვინც ამ სამსახურის შესრულებაში იღებს უძრავ და მოძრავ ქონებას.

⁷⁷ = სართი, ზედმეტი, დანამატი.

⁷⁸ kanu(m) Oakk, to s.o. 3. OA "make secure" for s.o. 4. leg. "establish" (s.o.'s guilt), "convict"; "confirm" s.o.('s statement); "prove, confirm" a fact; NB eli ram(a)nisu k. "confess".

⁷⁹ = ყამირ მიწას.

⁸⁰ = გულგრილია, უყურადღებოა.

⁸¹ madadu – მიუზომოს, გადახდა მოზმილი რაოდენობის.

⁸² biltu(m), NA bissuy bisu "load; talent; yield; rent; tribute".

- მოუვა – ის ხორბალს იმ წელს მევალებს არ გადაუხდის. ფირფიტას გადარეცხავს და ამ წლის წილი არ უნდა მისცეს.
49. (xiv 18-44). თუ კაცი ვაჭრისგან ვერცხლს აიღებს, შემდეგ ვაჭარს დამუშავებულ მინდორს ან ხორბლის ან სეზამის (მოსაყვანად) მისცემს და გამოუცხადებს: „შენ დაამუშავებ მინდორს და შეაგროვებ და წაიღებ იმდენ ხორბალს ან სეზამს, რამდენიც გაიზრდება“ – თუკი მთესველი მინდორში ან ხორბალს ან სეზამს მოიყვანს, მოსავლის აღებისას მინდორში მოყვანილ ხორბალს ან სეზამს მინდვრის პატრონი წაიღებს, (ხოლო) ვაჭარს აღებული ვერცხლის ტოლფასი ხორბალი წილითურთ უნდა მისცეს და თესვისას გაწეული ხარჯებიც უნდა აუნაზღაუროს.
50. (xiv 45-55). თუკი ის (ვაჭარს) ან <ხორბლით> ან სეზამით დათესილ მინდორს მისცემს, მინდორში მოყვანილ ხორბალს ან სეზამს მხოლოდ მინდვრის პატრონი წაიღებს, ვაჭარს კი ვერცხლი და (მისი) წილი უნდა დაუბრუნოს.
51. (xiv 56-66). თუკი მას (მინდვრის პატრონს) ვერცხლი არ აქვს დასაბრუნებელი, (მაშინ) მან ვაჭარს <ან ხორბალი ან> სეზამი მათი (საბაზრო) ღირებულების⁸³ მიხედვით, (ხოლო) ვაჭრისაგან აღებული ვერცხლი და მისი წილი სამეფო ბრძანებულების⁸⁴ შესაბამისად უნდა მისცეს.
52. (xv 1-6). თუკი მთესველი მინდორში ხორბალს ან სეზამს არ მოიყვანს. ის თავის (ხელშეკრულებით დადებულ) შეთანხმებას⁸⁵ ვერ შეცვლის.
53. (xv 7-20). თუკი კაცი თავისი მინდვრის (სარწყავი არხის) ჯებირის გამაგრებაზე არ იზრუნებს, ჯებირს არ გაამაგრებს, შემდეგ ჯებირში ხვრელი გაჩნდება და (სხვის) მინდორს წყალი წაღეკავს, კაცი, რომლის ჯებირშიც ხვრელი გაჩნდა, განადგურებულ ხორბალი უნდა აანაზღაუროს.
54. (xv 21-30). თუკი ხორბლის ანაზღაურება არ შეუძლია. ეს კაცი და მისი სახლი ვერცხლზე უნდა გაიყიდოს, ხოლო „მინდვრის შვილები“⁸⁶, რომელთა ხორბლის (ნათესები) წყალმა წაღეკა, ვერცხლს გაიყოფენ.
55. (xv 31-38). თუკი კაცი (სარწყავად) თავის არხს გაიყვანს, უყურადღებოდ დატოვებს და წყალს მეზობლის მინდორს წააღეკინებს, მან ხორბალი მისი მეზობელი მიწის მოსავლიანობის შესაბამისად უნდა მიუწყას.
56. (xv 39-45). თუკი კაცი წყლის არხს გაიყვანს და მეზობლის მინდორს⁸⁷ წყალი წაღეკავს, მან 10 *იქუზე* 1 *ბური* ხორბალი უნდა მიუწყას.
57. (xv 46-64). თუკი მწყემსი მინდვრის პატრონთან ცხვრებისა და თხების⁸⁸ (= ფარის) მოვებაზე შეთანხმებას არ დადებს, მინდორზე ცხვრებსა და თხებს მინდვრის პატრონის ნებართვის გარეშე მოადოვებს, (როდესაც) მინდვრის პატრონი თავის ყანას აიღებს, მწყემსმა, რომელმაც მინდვრის პატრონის ნებართვის გარეშე მინდორზე ცხვრებსა და თხებს მოადოვებინა, მინდვრის პატრონს 1 *ბური* დამატებით 20 *გური* ხორბალი უნდა მიუწყას.
58. (xv 65-xvi 3). თუკი ცხვრები და თხები მინდვრიდან დაბრუნდებიან, საძოვრების დასრულების მაუწყებელი ნიშები⁸⁹ მთავარ კარიბჭეს შემოეხვევიან, მწყემსი ცხვრებსა და თხებს მინდორში გაუშვებს, ცხვრებსა და თხებს მინდორში მოადოვებინებს, მწყემსი ვალდებულია უდარაჯოს⁹⁰ იმ მინდორს, სადაც (ფარა) საძოვარზე მიუშვა,

⁸³ maḥīru (KI.LAM = GANBA) – ფასი, ღირებულება, ტარიფი, ნიხრი.

⁸⁴ šimdatu, šimdat šarri – სამეფო ბრძანებულება.

⁸⁵ rikiltu, riksu, riksātu, rikistu – (ხელშეკრულების მიხედვით) შეთანხმება, ხელშეკრულება, შეერთება.

⁸⁶ აქ უნდა იგულისხმებოდეს საერთო სარწყავი ტერიტორიის მაცხოვრებლები, მიწის ნაკვეთის მეზობლები.

⁸⁷ itê, itâ; ŪS.SA.DU – საზღვარი, მეზობლად მყოფი (მინდორი, მიწის ნაკვეთი); ახლოს, მახლობლად.

⁸⁸ senu(m), (USDUḪA = U8.UDU.ḪÁ), OAKk sdnun, NA se'anu f. "flock, sheep (and goats)". ფარა, ცხვრები და თხები, წვრილფეხა საქონელი.

⁸⁹ gamartu(m) "totality" O/jB 1. Mari of troops "whole force" 2. OB kannu gamartim "signs of completion"?

⁹⁰ nasaru(m) "to guard, protect".

- მოსავლის აღებისას⁹¹ მინდვრის პატრონს კი 1 ბურზე 60 გური ხორბალი უნდა მიუწყას.⁹²
59. (xvi 4-9). თუკი კაცმა სხვა კაცის ხეხილის ბაღში ბაღის პატრონის ნებართვის გარეშე (ხე) მოჭრა, $\frac{1}{2}$ მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს.
60. (xvi 10-26). თუკი კაცი მებაღეს⁹³ (ხეხილის) ბაღის გასაშენებლად⁹⁴ მინდვრის მისცემს, მებაღე ბაღს გააშენებს, ოთხი წელი ბაღს გაზრდის, მეხუთე წელს ბაღის მეპატრონე და მებაღე მოსავალს თანაბრად გაინაწილებენ; პირველი ბაღის მეპატრონემ უნდა აირჩიოს თავისი წილი და წაიღოს.
61. (xvi 27-33). თუკი მებაღე ბაღის გაშენებას არ დაასრულებს, დაუმუშავებელს⁹⁵ დატოვებს, დაუმუშავებელი წილში უნდა ჩათვალოს.
62. (xvi 34-47). თუკი (მებაღე) მისთვის მიცემულ მინდვრზე ბაღს არ გააშენებს, თუკი (ეს) სახნავი მიწაა, მინდვრის წლიური მოსავალი მებაღემ მინდვრის მეპატრონეს მისი მომიჯნავე მიწის მოსავლიანობის შესაბამისად უნდა მისცეს; ამასთან, მან მინდვრზე საჭირო სამუშაოები⁹⁶ უნდა შეასრულოს და იგი მინდვრის მეპატრონეს დაუბრუნოს.
63. (xvi 48-57). თუკი მიწა დაუმუშავებელია, მან მინდვრზე საჭირო სამუშაოები უნდა შეასრულოს და იგი მინდვრის მეპატრონეს დაუბრუნოს, (ასევე) მან წლიურად 1 ბურზე 10 გური ხორბალი უნდა მიუწყას.
64. (xvi 58- 70). თუკი კაცი მებაღეს ბაღს დასამტკერად მისცემს, სანამ მებაღე ბაღს ფლობს, მან ბაღის მეპატრონეს ბაღის მოსავლიანობის $\frac{2}{3}$ უნდა მისცეს და თავად ერთ მესამედს მიიღებს.
65. (xvi 71-xvii 1). თუკი მებაღე ბაღს არ მოუვლის და ამით მოსავლიანობას ამცირებს, მებაღემ <ბაღის მეპატრონეს> მოსავალი მისი მომიჯნავე მიწის მოსავლიანობის შესაბამისად უნდა მიუწყას.
66. (P ii 1-18; Q iii 1- 27). თუკი კაცი ვაჭრისგან ვერცხლს ისესხებს და ვაჭარი მოთხოვს მას ვალის დაბრუნებას, მაგრამ მას არაფერი აქვს გადასახდელი, ამიტომ ის ვაჭარს გადასცემს თავის აყვავებულ ბაღს და ეტყვის: „აიღე ბაღში მოწეული ფინიკი შენი ვერცხლის სანაცვლოდ.“ ვაჭარი არ დათანხმდება; ბაღის მეპატრონე თავად აიღებს ბაღში მოწეულ ფინიკს, ვაჭარს კი ხელშეკრულების თანახმად ვერცხლით და მისი წილით დააკმაყოფილებს. ბაღში მოწეული დანარჩენი ფინიკი ბაღის მეპატრონეს დარჩება.
67. (P ii 19-23). თუკი კაცს სახლის აშენება სურს და ამისი მეზობელი [...].
- 67ა. (P i 1-6 და b 1-8; Q iv 1-15). თუკი ის [...] არ მისცემს მას [...] ფასად; თუ ის აპირებს მისცეს მარცვლეული, ვერცხლი ან ნებისმიერი სხვა საქონელი სახლისთვის, რომელიც ეკისრება სამსახურეობრივ მოვალეობას და ეკუთვნის მის მეზობელს, რომლის ყიდვასაც ის ისურვებს, ის დაკარგავს ყველაფერს, რაც მან მისცა; ის დაუბრუნდება მის მფლობელს. თუ ეს სახლი არ არის დატვირთული სამსახურეობრივი მოვალეობით, მას შეუძლია შეიძინოს იგი; მას შეუძლია ამ სახლისთვის მარცვლეული, ვერცხლი ან ნებისმიერი სხვა ქონება მისცეს.
- 68ა. (Q iv 16-21). თუკი კაცი მეზობლის მოუხნავ მიწას მეზობლის უნებართვოდ მოხნავს, სახლს, რომელიც იქ ააშენა, დაკარგავს. მიწა მის პატრონს დაუბრუნდება.

⁹¹ eburu(m), iburu; pi. MA, NB eburanu "harvest; summer" [BURU 14] "crop, harvest"; "yield" of orchard; "(activity of) harvesting"; "(time of) harvest".

⁹² 18,000 სილა მარცვლეული 18 იკუზე (მინდვრის ფართობზე).

⁹³ nukaribbu (NU.KIRI₆) – მებაღე.

⁹⁴ zaqāpu – ბაღის დარგვა, დათესვა; (ბოსტნის, მინდვრის, ბაღის, ყანის) დასარგავად მომზადება, ana kirī zaqāpi - ბაღის, ბოსტნის დარგვა.

⁹⁵ nidutu(m) "abandonment" Bab. [KISLAH ?] "uncultivated state, waste land"; დაუმუშავებელი, ცარიელი,

⁹⁶ epesu(m) II "to do; make; build"; šipram e. "do (agricultural) work on" (+ 2nd acc.); eqlamy kiriam e. "work field, orchard" (+ 2nd acc. for crop); "cultivate".

- 68ბ. (P iii 1-9; R i 1-12). [თუ... კაცი] ეტყვის [დანგრეული სახლის მფლობელს]: „გაამაგრე შენი დანგრეული კედელი; (ჩემთან) შენი სახლიდან კედელზე გადმოძრომას შეძლებენ“. ან (ეტყვის) მოუხნავი მიწის მფლობელს: „მოხანი შენი მოუხნავი მიწა, ჩემს სახლში შენი მოუხნავი მიწიდან გადმოვლენ“, და თუკი იგი მოიყვანს მოწმეებს – თუკი ქურდი [შეიჭრება] (მასთან დაზიანებული) კედლიდან, დანგრეული სახლის მეპატრონე აუნაზღაურებს ყველაფერს, რაც დაეკარგება; თუკი [ქურდი შეიჭრება მოუხნავი მიწიდან, მოუხნავი მიწის] მეპატრონე აუნაზღაურებს ყველაფერს [რაც დაიკარგება...]. თუკი [...]
- 68ც. (R ii 1-4). [თუკი...] სახლი [...]
- 69ც. (P ii 1-18; R ii 5-13; s rev.). თუკი [კაცი იქირავებს სახლს... და] მდგმური მისცემს ერთი წლის ვერცხლს სახლის მეპატრონეს, მაგრამ შემდეგ სახლის მეპატრონე გასვლას მოსთხოვს მდგმურს ვადაზე ადრე, სახლის მეპატრონე, იმის გამო, რომ ვადაზე ადრე გაუშვა სახლიდან მდგმური, მდგმურის გადახდილ ვერცხლს დაკარგავს.
- (t i 3-) S). [თუკი] დამქირავებელი გადაწყვეტს, რომ შეისყიდოს [მეპატრონის სახლი...], ის საფასური, რომელიც გადასახდელი იქნება პატრონის სახლის შესაძენად, [...] მან უნდა დადოს [...] უნდა დადოს [...]; თუკი იგი სხვაგანაა [...] პატრონს. თუკი იგი არ შეიძენს (სახლს), [იგი დაკარგავს იმ ვერცხლს, რომელიც] აიღო, ხოლო [დამქირავებელი სახლს დაუბრუნებს] მეპატრონეს.
- (t i 16-?). [...]
- (t i ?-ii 5). [თუკი ადამიანი ვერცხლს ისესხებს...], მან უნდა აწონოს და დაუბრუნოს ვერცხლი და მოსავლიდან (მიღებული) სარგებელი. თუკი მას არაფერი აქვს მისაცემად, [უნდა მისცეს] ნებისმიერი სხვა ქონება, საქონელი ან მარცვლეული; თუ მას აქვს... მისცეს, [...]
- (t ii 6-13). თუკი ვაჭარი [...] 5 შიკლი ვერცხლი [...] არ შეუდგენია დაბეჭდილი საბუთი [...] ადამიანის ვაჟი... რომელიც ... იგი უნდა მოკლას იგი.
- (t ii 14-18). თუკი კაცის მონა კაცი [...] 1/3 მიწა ვერცხლი უნდა მიუწონოს, და ამ მონა კაცმა [...] შეასრულოს ... იგი უნდა მოკვდეს!
- (t ii 19-26). [თუკი] კაცი [...] სხვა კაცს [...] ვერცხლი [...]
- (t ii 27-iii 5). [...]
- (t iii 6-23). [თუკი...] ხელფასი [...] ვერცხლი [...]; თუკი ის ადამიანი, რომელიც [...] არ [...] იგი დაკარგავს ვერცხლს, რომელიც მისცა.
- 69დ. (S i 1'-3'; t iii 24-34). თუკი ან მონა კაცი ან მონა ქალი [...] უნდა დაუბრუნონ [თავის] პატრონს; თუკი [...] იგი ცემს(?) მას, მას არ დაუბრუნებენ [მის პატრონს].
- 70დ. (S i 4'-12'; t iii 35-40). თუკი ვაჭარი გასცემს მარცვლეულს ან ვერცხლს სარგებლიან სესხად,⁹⁷ მან უნდა მიიღოს 100 სილა მარცვლეული 1 ქურზე სარგებლის სახით (= 33%); თუკი იგი ვერცხლს გასცემს სარგებლიან სესხად, უნდა აიღოს 36 ქერის მარცვალი⁹⁸ 1 შიკლ ვერცხლზე სარგებლის სახით (= 20%).
- 71დ. (S i 14'-27'; t iii 41-iv 7). თუკი კაცს აქვს სარგებლიანი⁹⁹ სესხი აღებული და არ გააჩნია ვერცხლი მისი დასაფარად, მან (= ვაჭარმა) უნდა აიღოს მარცვლეული და ვერცხლი სამეფო ბრძანებულებისა და მასზე დარიცხული სარგებლის შესაბამისად, წლიური 60 სილა 1 ქურზე (= 20%); თუკი ვაჭარი შეეცდება გაზარდოს და მიიღოს სარგებელი 100 სილა მარცვლეული 1 ქურზე (= 33%), ან 36 ქერის მარცვალი 1 შიკლ ვერცხლზე (= 20%), ის დაკარგავს ყველაფერს, რაც გასცა.
- 72დ. (S i 29'-35'; t iv 8-19). თუკი ვაჭარმა მარცვეული ან ვერცხლი გაასესხა და შემდგომ მიიღო [...] მარცვლეული ან ვერცხლი თავისი თანხის მიხედვით სარგებლით, [...] მარცვლეული და ვერცხლი, მისი თანხა და სარგებელი [...], ფირფიტა [მისი ვალის შესახებ უნდა დაიმტკიცეს].

⁹⁷ = პროცენტიან სესხად.

⁹⁸ = 1/6 სიკლი და 6 შუ.

⁹⁹ = პროცენტიანი.

- 72g. (S ii 1'-8'; t iv 20-39). თუ ვაჭარი გასცემს [მარცვლეულს ან ვერცხლს] სარგებლით და შემდეგ არ მიიღებს შესაბამისად მარცვლეულს ან ვერცხლს, და (ამის გამო) არ შეადგენს ახალ ფირფიტას, ან ვალის ძირითად თანხას სარგებელს დაუმატებს, ამ ვაჭარმა ორმაგად უნდა დააბრუნოს მიღებული მარცვლეულის ოდენობა ან ძირითადი თანხა.
- 73g. (S ii 10'-21'). თუკი ვაჭარი გასცემს მარცვლეულს ან ვერცხლს სარგებლით და გაცემისას ვერცხლი მცირე საწონით ან მარცვლეული მცირე საწყაოთი მიუწონა, ხოლო უკან მიღებისას, ვერცხლს და მარცვლეულს დიდი საწონით მიიწონის, [ვაჭარი] დაკარგავს ყველაფერს, [რაც მისცა].
- 74g. (S ii 23'-28'). თუკი [ვაჭარი] გასცემს [...] სარგებლით, [...] დაკარგავს ყველაფერს, რაც მისცა.
- 75g. (P rev. i 1-13; S ii 30'-40'). თუკი კაცი ვაჭრისგან ისესხებს მარცვლეულს ან ვერცხლს და არ გააჩნია გადასახდელი მარცვლეული ან ვერცხლი, მაგრამ აქვს სხვა ქონება, მან უნდა მისცეს ვაჭარს მოწმეების თანდასწრებით, რაც კი ხელთ აქვს ყველაფერი. ვაჭარმა არ უნდა თქვას უარი, უნდა მიიღოს.
- 76g. (Trev. i 1'-3'). [თუკი კაცი...] მოსწონს [...]
- 76a. (S iii 1'). [თუკი ...] ის უნდა მოკვდეს!
77. (S iii 3'-7'). თუკი კაცი აძლევს ვერცხლს სხვა კაცს საერთო საქმისთვის, ღვთაების წინაშე თანაბრად უნდა გაიყონ მოგება ან ზარალი.
100. (S iii 8'-21'; xxiv 1-7). თუკი ვაჭარი¹⁰⁰ წვრილვაჭარს¹⁰¹ სავაჭროდ ვერცხლს მისცემს და საქმეზე გააგზავნის, (ხოლო) წვრილვაჭარმა მგზავრობაში [...] (იმ) მხარეში სადაც გაემგზავრა მინდობილ ვერცხლს დაატრიალებს და [მოგებას]¹⁰² ნახავს, (მამინ) მან აღებული ვერცხლის წილი და გასული დრო უნდა დაითვალოს და ვაჭარს ისე გადაუხადოს.
101. (xxiv 8-14). თუკი ის (იმ) მხარეში სადაც გაემგზავრა, მოგებას ვერ ნახავს, (მამინ) წვრილვაჭარმა ვაჭარს წაღებული ვერცხლი ორმაგად უნდა მისცეს.
102. (xxiv 15-23) თუკი ვაჭარმა წვრილვაჭარს ხელის გასამართად¹⁰³ ვერცხლი მისცა, (ხოლო იმ) მხარეში სადაც გაემგზავრა ზარალი ნახა, მან ვაჭარს ვერცხლის თავნი¹⁰⁴ უნდა დაუბრუნოს.
103. (xxiv 24-31). თუკი მას მგზავრობისას მტერი¹⁰⁵ ყველაფერს წაართმევს, წვრილვაჭარმა ღვთაება უნდა დაიფიცოს და გამართლდება.
104. (xxiv 32-45). თუკი ვაჭარი წვრილვაჭარს მარცვლეულს, მატყლს, ზეთს ან ნებისმიერ სხვა საქონელს გასაყიდად მისცემს, წვრილვაჭარმა ვერცხლი უნდა დაიანგარიშოს და ვაჭარს დაუბრუნოს. წვრილვაჭარმა მიცემული ვერცხლის (დამადასტურებელი) დაბეჭდილი (საბუთი)¹⁰⁶ ვაჭრისგან უნდა მიიღოს.
105. (xxiv 46-54). თუკი წვრილვაჭარი უყურადღებოდ მოიქცევა და ვაჭრისთვის მიცემული ვერცხლის (დამადასტურებელი) დაბეჭდილ საბუთს არ მიიღებს, უსაბუთოდ მიცემული ვერცხლი ანგარიშში არ ჩაითვლება.
106. (xxiv 55-67). თუკი წვრილვაჭარი ვაჭრისგან ვერცხლს აიღებს, შემდეგ კი ვაჭრის წინაშე უარყოფს, (მაგრამ) ვაჭარი ღვთაებისა და მოწმეების წინაშე წვრილვაჭარს ვერცხლის

¹⁰⁰ tamkāru (=TAM.GÀR) – ვაჭარი; („დაგროვება“ namkurum – ქონება), კაპიტალის მქონე პირი, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა სავაჭრო და ფინანსურ ოპერაციებს.

¹⁰¹ šamallū (=LUŠAB-TUR) – მეწვილმანე ვაჭარი, წვრილვაჭარი, რომელიც თამქარის. დავალებით ასაღებს საქონელს; ვაჭრის თანამემწე; მეგირდი.

¹⁰² nēmelu – სარგებელი, ხეირი, გამორჩენა.

¹⁰³ tadmiqtum – "friendly action, favour" = interestfree loan OA [SIG5]; OB for business trip.

¹⁰⁴ = ძირითადი თანხა.

¹⁰⁵ nakru – მტერი, უცხო, არამოყვარე.

¹⁰⁶ = ბეჭედდასმული.

- მიღებას დაუმტკიცებს, (მაშინ) წვრილვაჭარმა აღებული ვერცხლი ვაჭარს სამმაგად უნდა დაუბრუნოს.
107. (xxiv 68-xxv 14). თუკი ვაჭარი წვრილვაჭარს ვერცხლს მიაბარებს, წვრილვაჭარი ვაჭარს ყველაფერს დაუბრუნებს, მაგრამ ვაჭარი ამ ყველაფერის (მიღებას) უარყოფს, წვრილვაჭარმა ვაჭარი ღვთაებისა და მოწმეების წინაშე უნდა ამხილოს. ვაჭრმა რადგან უარყო ყველაფერი, (ამიტომ) წვრილვაჭარს აღებული თანხის ექვსმაგი უნდა მისცეს.
108. (xxv 15-25). თუკი მიკიტანი ქალი¹⁰⁷ ლუდის ფასად ხორბალს არ იღებს, მაგრამ დიდი წონით ვერცხლს მიიღებს და (ამით) ლუდის ფასს ხორბლის ფასთან შედარებით ამცირებს, ამის გამო სასტუმროს მეპატრონე ქალს ამხელენ და წყალში გადააგდებენ.
109. (xxv 26-35). თუკი მიკიტანი ქალის სახლში დამნაშავეები¹⁰⁸ იკრიბებიან, და ის (ამ) დამნაშავეებს არ შეიპყრობს და მათ სასახლეში არ მიიყვანს, ეს მიკიტანი ქალი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.
110. (xxv 36-44). თუკი *ნადითუ*¹⁰⁹ ან *უგბაბთუ*¹¹⁰ ტაძარში არ ცხოვრობს, ლუდხანას¹¹¹ გააღებს ან ლუდისთვის ლუდხანაში შევა, ის ქალი უნდა დაწვან.
111. (xxv 45-49). თუკი მიკიტანი ქალი თავის ლუდს¹¹² გაასესხებს¹¹³. მოსავლისას 5 *სუთი* ხორბალი უნდა მიიღოს.
112. (xxv 50-74). თუკი კაცი სავაჭრო საქმეზე გაემგზავრება¹¹⁴ და ვერცხლს, ოქროს, ძვირფას ქვებს ან (ნებისმიერ) ქონებას გასაგზავნად სხვა კაცს მისცემს, (ხოლო) ეს კაცი გზავნილს¹¹⁵ იმ ადგილზე, სადაც უნდა გაეგზავნა არ გააგზავნის¹¹⁶ და მიითვისებს¹¹⁷, ამის გამო ქონების პატრონმა ეს კაცი ყველა ჩაუბარებელი ქონებისთვის უნდა ამხილოს, კაცმა კი ქონების პატრონს ყველაფერი, ხუთმაგად უნდა დაუბრუნოს, რაც მან მისცა.
113. (xxv 75-xxvi 16). თუკი კაცს სხვა კაცსგან ხორბალი ან ვერცხლი მართებს და ხორბლის მეპატრონის უნებართვით ბელლიდან¹¹⁸ ან კალოდან¹¹⁹ ხორბალს წაიღებს, ეს კაცი უნდა ამხილონ პატრონის ბელლიდან ან კალოდან ხორბლის ან ვერცხლის უნებართვოდ წაღებაში და იმდენი ხორბალი უნდა დააბრუნოს, რამდენიც წაიღო. ამასთან, ის ყველაფერს¹²⁰ დაკარგავს, რაც (მანამდე) ჰქონდა გაცემული.
114. (xxvi 17-25) თუკი კაცს სხვა კაცის ხორბალი ან ვერცხლი არ მართებს, მაგრამ მძევლად აიყვანს¹²¹ (მისი ოჯახის წევრს),¹²² მან თითო მძევალზე 1/3 *მინა* ვერცხლი უნდა მიუწონოს.

¹⁰⁷ sābītu(m) – "female brewer, alehouse keeper"; ლუდის მწარმოებელი ქალი.

¹⁰⁸ sarru, sartu, surtu – დამნაშავე, მატყუარა, ცრუ, ცბიერი.

¹⁰⁹ nadītu (=LUKUR) – „ნადითი“, (naditum „შეწირული“), ღვთისმსახურ ქალთა ერთი კატეგორია,, სხვებისგან განსახვევებით გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობს; naditu(m) 1. OAKk, Bab. "'fallow' (i.e. childless) woman" [LUKUR]; OB "celibate (priestess)" (= gagu).

¹¹⁰ ukbatu, = entu (NIN.DINGIR(.RA) – მაღალი რანგის ქურუმი ქალი.

¹¹¹ bit sibu(m) – ლუდხანა.

¹¹² pīḫu (KAŠ.Ú.SA.KA.DU) – ლუდის სახეობა.

¹¹³ qiptu(m) "trust; loan" [SU.LAL].

¹¹⁴ ina ḫarrāni – სავაჭრო საქმეზე გამგზავრება.

¹¹⁵ subultu(m), subiltu "consignment; gift"; ანუ ჩაბარებულ ქონებას.

¹¹⁶ nadānu – მიცემა, ჩუქება, გაგზავნა, გაყიდვა.

¹¹⁷ tabālu (a) – თავისთვის წაღება/აღება.

¹¹⁸ našpaku, našpakūtu, šipku – ბელელი.

¹¹⁹ maškanu – კალო, დასახლებული ადგილი; maskanu(m) 'place of putting' 1. "threshing floor" [KISLAH; MAS.GAN].

¹²⁰ mimma šumšu – ყველაფერს, ყველაფერი.

¹²¹ nepū – მძევლად აყვანა; nipūtu – მძევალი.

¹²² ანუ ნახუთევს დაიხუთავს. „დახუთვა“ – პატრონისთვის ნივთის ან კაცის გამორთმევა, ან მათი ძალით ჩაგდება ხელში და უკან აღარ მიცემა, დაჭერა ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. ნიშნავდა ერთგვარ დაყადაღებას, ახლოს იყო გირავნობასთან, ოღონდ მას უმთავრესად მაშინ

115. (xxvi 26-37) თუკი კაცს სხვა კაცის ხორბალი ან ვერცხლი მართებს და მისი ოჯახის წევრს მძევლად აიყვანს, (შემდეგ ეს) მძევალი დამკავებლის სახლში ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვლება, ეს საქმე სამართლებრივად ვერ გასაჩივრდება¹²³.
116. (xxvi 38-53) თუკი მძევალი დამკავებლის სახლში ცემით ან სხვა ფიზიკური ძალადობით გარდაიცვლება, მძევლის მეპატრონე ამხელს დამკავებელს¹²⁴ და თუკი მძევალი კაცის ვაჟია, მძევლის¹²⁵ ვაჟი უნდა მოკვდეს; თუკი მძევალი კაცის მონაა, 1/3 მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს; ამათან, ის ყველაფერს დაკარგავს, რაც (მანამდე) გაცემული ჰქონდა.
117. (xxvi 54-67) თუკი კაცი ვალში¹²⁶ ჩავარდა, (ამის გამო) ის თავის ცოლს, ვაჟიშვილს ან ქალიშვილს ვერცხლზე გაყიდის ან გირაოდ¹²⁷ მისცემს (მევალეს), მათ თავიანთი მყიდველის ან მეგირავნის სახლში სამი წლის განმავლობაში უნდა იმსახურონ, მეოთხე წელს კი უნდა გათავისუფლდნენ.
118. (xxvi 68-73) თუკი ის მონა კაცს ან მონა ქალს ვალის გამო დააგირავენ, ვაჭარს შეუძლია გააგრძელოს ვადა (სამ წელზე მეტით), და ვერცხლზე გაყიდოს. ვერ გასაჩივრდება.
119. (xxvi 74-xxvii 3) თუკი კაცს ვალი აქვს და ის თავის მონა ქალს, რომელმაც შვილები უშვა, ვერცხლზე გაყიდის, მონა ქალის მეპატრონეს შეუძლია მოწონილი ვერცხლი ვაჭარს უკანვე მიუწონოს და თავისი მონა ქალი გამოისყიდოს.
120. (xxvii 4-23) თუკი კაცი თავის ხორბალს სხვა კაცის სახლის ბედელში შეინახავს, და მარცვლეულის საცავში¹²⁸ დანაკარგი¹²⁹ აღმოჩნდება, ან სახლის პატრონი ბედელს გახსნის და მარცვლეულს ამოიღებს, ან უარყოფს, რომ მის სახლში ხორბალი ინახება, ხორბლის პატრონმა თავის ხორბლის (არსებობა) ღვთაების წინაშე უნდა განაცხადოს და სახლის მეპატრონემ ხორბლის პატრონს მითვისებული ხორბალი ორმაგად უნდა მისცეს.
121. (xxvii 24-30). თუკი კაცი ხორბალს სხვა კაცის სახლში შეინახავს, ბედლის წლიური ქირის სახით 5 სილა ხორბალი 1 ქურზე (= 300 სილა) უნდა მისცეს.
122. (xxvii 31-43). თუკი კაცი სხვა კაცს ვერცხლს, ოქროს ან რამე ნივთებს შესანახად მიაბარებს, მან ყველაფერი მიბარებული მოწმეების თადასწრებით უნდა აჩვენოს, დადოს ხელშეკრულება და შემდეგ შეუძლია მიაბაროს შესანახად.
123. (xxvii 44-52). თუკი იგი ნივთებს მოწმეების ან ხელშეკრულების გარეშე მიაბარებს შესანახად, და ისინი უარყოფენ, რომ რამე მიუღიათ, ეს საქმე (სამართლებრივად) არ განიხილება.
124. (xxvii 53-65). თუკი კაცი სხვა კაცს მისცემს ვერცხლს, ოქროს ან რამე სხვა ნივთებს მოწმეების თანდასწრებით შესანახად და შემდეგ იგი უარყოფს, უარყოფელს გასამართლებენ და მან ყველაფერი ორმაგად უნდა გადაიხადოს, რაც უარყო.
125. (xxvii 66-xxviii 7). თუკი კაცი თავის ქონებას მიაბარებს (სხვას უსაფრთხოებისთვის) და მისი ქონება სახლის მეპატრონის ქონებასთან ერთად დაიკარგება ან კედლის შემტვრევისას ან გადამრომისას, სახლის მეპატრონემ, რომელიც უყურადღებოდ იყო

მიმართავდნენ, როცა მოვალე პირობას გადავიდოდა. ხუთვა და მისგან ნაწარმოები ტერმინები, დახუთვა, დამხუთავი, ნახუთევი და სხვა. უძველესი დროიდანვე იხმარებოდა ქართული სამართლის ძეგლებსა და სასულიერო თუ საერტო მწერლობაში.

¹²³ rugummâ ul išu – სასამართლო პროცესისას არ შეიძლება ბრალის დადება; ანუ ეს საქმე ვერ გასაჩივრდება, ამ საქმეს სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია. ragamu(m) "to shout; prosecute, raise claim" G (alu, ulu', j/NB perf. also irtagu'lw) [KA.GA.GA].

¹²⁴ ანუ მევალეს.

¹²⁵ ანუ დამკავებლის.

¹²⁶ e'iltu, (e-'i) – ვალი აკისრია, ვალდებულება.

¹²⁷ kissatum "be taken as pledge".

¹²⁸ qarltu(m), qiritu "grain-store" Bab., M/NA [£SAG]; MA, Nuzi bitq. "granary"; NB also for dates; მარცვლეულის საცავი.

¹²⁹ ibbû – დანაკარგი.

- და შესანახად მიზარებული ქონება დაკარგა, მფლობელს ეს ქონება უნდა აუნაზღაუროს. სახლის პატრონმა უნდა განაგრძოს თავისი დაკარგული ქონების ძებნა და უნდა გამოართვას მას, ვინც მოიპარა მისგან.
126. (xxviii 8-24). თუკი კაცი, რომლის ქონებაც არ დაკარგულა და მაინც იტყვის: „ჩემი ქონება დაიკარგა“ და თავის უბანს დაადანაშაულებს, მისმა უბანმა ღვთაების წინაშე უნდა განაცხადოს, რომ მისი არანაირი ქონება არ დაკარგულა, და მან უბანს, რასაც ითხოვდა, ორმაგად უნდა გადაუხადოს.
127. (xxviii 25-34). თუკი კაცი ქურუმ ქალს¹³⁰ ან კაცის ცოლს თითს მიუშვერს,¹³¹ მაგრამ ვერ დაუმტკიცებს, ეს ადამიანი მოსამართლეთა წინაშე უნდა განსაჯონ და თმის ნახევარი გაპარსონ.
128. (xxviii 35-41). თუკი კაცი მოიყვანს ცოლს და ხელშეკრულებას არ დაუდებს, ეს ქალი ცოლად არ ითვლება.
129. (xxviii 42-53). თუკი კაცის ცოლს სხვა კაცთან დაწოლილს წაასწრებენ, ისინი უნდა შევრან და წყალში ჩააგდონ; თუკი ცოლის პატრონი თავის ცოლს შეიწყალებს, მაშინ მეფე თავის ქვეშევრდომსაც (= იმ კაცსაც) შეიწყალებს.
130. (xxviii 54-67). თუკი კაცი კაცის ქალწულ ცოლზე, რომელიც ჯერ კიდევ მამის სახლში ცხოვრობს, იძალადებს და მასთან დაწოლილს წაასწრებენ, ეს კაცი უნდა მოკვდეს! ეს ქალი უნდა გათავისუფლდეს.
131. (xxviii 68-76). თუკი ქმარი საკუთარ ცოლს ბრალს დასდებს (მრუშობაში), მაგრამ ის სხვა კაცთან დაწოლილი არ უნახავთ, მან (= ქალმა) უნდა დაიფიცოს ღვთაების წინაშე (უდანაშაულობაზე) და იგი დაბრუნდება თავის სახლში.
132. (xxviii 77-xxix 6). თუკი კაცის ცოლისკენ თითს გაიშვერენ სხვა კაცის მიზეზით, მაგრამ სხვა კაცთან დაწოლილი არ უნახავთ, მან ქმრისთვის უნდა ჩაიტაროს ღვთაებრივი მდინარის წყლის გამოცდა.
- 133ა. (xxix 7-17). თუკი კაცს შეიპყრობენ და მის სახლში საკმარისი საკვები არის, მისი ცოლი [სხვა სახლში] არ შევა.
- 133ბ. (xxix 18-26). თუკი ის ქალი ერთგულებას არ დაიცავს და სხვა სახლში გადავა, ის უნდა დაადანაშაულონ, დამნაშავედ ცნონ და წყალში ჩააგდონ.
134. (xxix 27-36). თუკი კაცს დაიჭერენ და სახლში საკმარისი საკვები არ არის, მის ცოლს შეუძლია სხვა სახლში გადავიდეს, ეს ქალი არ დადანაშაულებს.
135. (xxix 37-56). თუკი კაცს დაიჭერენ და მის სახლში საკმარისი საკვები არ არის, თუკი მისი ცოლი მის დაბრუნებამდე შევა სხვის სახლში და შობს შვილებს, ხოლო შემდეგ მისი ქმარი უკან თავის ქალაქში დაბრუნდება, ცოლი უნდა დაბრუნდეს პირველ ქმართან; შვილები მათ მამასთან დარჩებიან.
136. (xxix 57-73) თუკი კაცი მიატოვებს თავის ქალაქს და გაიქცევა, მისი წასვლის შემდგომ კი მისი ცოლი შევა სხვის სახლში. შემდეგ თუკი ის კაცი დაბრუნდება და თავისი ცოლის წაყვანას მოინდომებს, რადგან მან თავისი ქალაქი მიატოვა და გაიქცა, გაქცეულის ცოლი არ დაუბრუნდება ქმარს.
137. (xxix 74-xxx 13). თუკი კაცი გადაწყვეტს გაეყაროს *შუგიტუს*,¹³² რომელმაც შვილები უშვა, ან *ნადიტუს*,¹³³ რომელმაც შვილები უშვა. დაუბრუნებენ იმ ქალს მის მზითვს და მისცემენ (ქმრის) მიწის, ბაღისა და ქონების ნახევარს და ის აღზრდის შვილებს; შვილების გაზრდის შემდეგ, მისცემენ მას ერთი მემკვიდრის წილს ყველა იმ ქონებიდან, რაც მის ვაჟებს ერგოთ, და შეუძლია მის მიერ არჩეულ ქმარს ცოლად გაჰყვეს.

¹³⁰ *ugbabtu(m)* – ქალი ქურუმი, ქურუმთა კატეგორია.

¹³¹ = ცილს დასწამებს.

¹³² *šugītu(m)* – ტაძრის მსახურ ქალთა ერთ-ერთი კატეგორია.

¹³³ *nadītu(m)* – ღვთისმსახურ ქალთა ერთი კატეგორია, რომელიც გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდა; *celibate (priestess)*.

138. (xxx 14-24). თუკი კაცი განიზრახავს გაეყაროს თავის პირველ-წოდებულ ცოლს, რომელმაც ვერ უშვა შვილები, ქალს მისი ურვადის¹³⁴ საფასური ვერცხლი უნდა მიუწონოს და დაუბრუნოს მას მამის სახლიდან მოტანილი მზითვიც გაუმთელოს. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია გაშორდეს.
139. (xxx 25-29). თუკი ურვადი არ იქნება, მან გაყრის საფასურად 60 შიკლი (= 1 მინა) ვერცხლი უნდა მისცეს.
140. (xxx 30-32) თუკი ის დამოკიდებულია¹³⁵ (= მუშქენუა), 1/3 მინა ვერცხლი უნდა მისცეს.
141. (xxx 33-59) თუკი კაცის ცოლი, რომელიც ქმრის სახლში ცხოვრობს წასვლას გადაწყვეტს, ქონებას მიითვისებს, კერძო ქონებას¹³⁶ გაფლანგავს ან ქმარს დაამცირებს, უნდა ამხილონ. თუ ქმარი მის განქორწინებაზე განაცხადებს, მაშინ გაეყრება¹³⁷. (ქალს) არც მგზავრობის, არც განქორწინების და არც სხვა არაფერი არ უნდა მისცეს. თუ ქმარი მის განქორწინებაზე არ განაცხადებს, მაშინ ქმარს შეუძლია სხვა ქალზე დაქორწინდეს, ამ (პირველმა) ქალმა კი, როგორც მონამ, ქმრის სახლში უნდა იცხოვროს.
142. (xxx 60-xxxi 5) თუკი ქალი ქმარზე უარს იტყვის¹³⁸ და გამოაცხადებს. „ჩემთან ცოლ-ქმრული ურთიერთობა არ გექნება“ (= არ მომეკარო) – მისი საქმე მის უბანში (= უბნის ხელისუფლებაში) უნდა გადაწყდეს¹³⁹. თუკი ის თავშენახულია¹⁴⁰ და უცოდველია, მისი ქმარი გადის¹⁴¹ (სახლიდან)¹⁴² და ძლიერ შეურაცხყოფს მას, (მაშინ) ამ ქალს ბრალი¹⁴³ არ ექნება. მან თავის მზითვეი უნდა წაიღოს და მამის სახლში წავიდეს.
143. (xxxi 6-12) თუკი ის თავშენახული არაა, (სახლიდან) გადის, ქონებას ფლანგავს და ქმარს შეურაცხყოფს, ეს ქალი წყალში უნდა გადაგდონ.
144. (xxxi 13-27) თუკი კაცი *ნადითუზე* დაქორწინდება, *ნადითუ* ქმარს მონა ქალს მისცემს და ამით ის შვილებს შეაძენინებს. (მაგრამ შემდეგ) ის კაცი *შუგითუზე* დაქორწინებას გადაწყვეტს, კაცს ამის უფლება¹⁴⁴ არ აქვს, ის *შუგითუზე* ვერ დაქორწინდება.
145. (xxxi 28-42) თუკი კაცი *ნადითუზე* დაქორწინდება და ის მას შვილებს ვერ უშობს, და კაცი გადაწყვეტს *შუგითუზე* დაქორწინებას, ამ კაცს შეუძლია *შუგითუზე* დაქორწინდეს და იგი თავის სახლში მიიყვანოს; *შუგითუ* *ნადითუს* ვერ გაუთანაბრდება.
146. (x, ""-i 43-59) თუკი კაცი *ნადითუზე* დაქორწინდება, *ნადითუ* ქმარს მონა ქალს მისცემს, რომელიც შვილებს უშობს, შემდეგ მონა ქალი თავის ქალბატონთან გათანაბრებას გადაწყვეტს, რადგან მან შვილები შვა, ქალბატონი მას ვერცხლზე ვერ გაყიდის, მონის ნიშანი უნდა დადოს¹⁴⁵ და მონა ქალებში ჩათვალოს.
147. (xxxi 60-64) თუკი ის შვილებს ვერ შობს, მისი ქალბატონი მას ვერცხლზე გაყიდის.
148. (xx-xi 65-81) თუკი კაცი ცოლს მოიყვანს, რომელსაც უკურნებელი სენი¹⁴⁶ შეეყრება და ის სხვაზე დაქორწინებას გადაწყვეტს, შეუძლია დაქორწინდეს, (მაგრამ) უკურნებელ

¹³⁴ ურვადი, ურვათი – საქორწინო გადასახადი (საქონელი, ნივთი, ფული) საპატარძლოს მშობლებისათვის. terhatu(m) - თანხა, რომელსაც უხდის ვერცხლის სახით სასიძო საპატარძლოს მამას.

¹³⁵ = muškenu.

¹³⁶ sikiltu – კერძო ქონება.

¹³⁷ ezēbu (izib) – დატოვება, უარის თქმა, გაყრა.

¹³⁸ zeru(m) – არ მოწონება, სიძულვილი, უარის თქმა.

¹³⁹ parāsu (a/u) – გადაწყვეტა (სასამართლო საკითხის).

¹⁴⁰ naṣāru (a/u) – შენახვა, დაცვა.

¹⁴¹ (w)asu(m), wasium – გასვლა.

¹⁴² ანუ დალატობს.

¹⁴³ arnu, annu – ცოდვა, ბრალი, დანაშაული, ჯარიმა.

¹⁴⁴ magāru – უფლება, ნება, შეთანხმება.

¹⁴⁵ abbuttu – თავისებური თმის ვარცხნილობა.

¹⁴⁶ la'ābu – la'bu le'bu/li'bu – მძიმე დაავადება, ინფექცია.

- სენ შეყრილ ცოლს არ უნდა გაშორდეს. ქალმა (ქმრის) სახლში უნდა იცხოვროს და სახლში ცოცხალი იქნება ქმარმა უნდა არჩინოს.
149. (xxx:ii 1-9) თუკი ის ქალი ქმრის სახლში ცხოვრებას არ დათანხმდება, (ქმარმა) მამის სახლიდან მოტანილი მზითვეი უნდა დაუბრუნოს და წავა.
150. (xxxii 10-25) თუკი კაცი თავის ცოლს მიწას, ბაღს, სახლს ან ქონებას აჩუქებს¹⁴⁷ და დაბეჭდილ საბუთსაც მისცემს, ქმრის (გარდაცვალების) შემდეგ შვილები მას ვერ შეეცილებიან;¹⁴⁸ დედა თავის ქონებას¹⁴⁹ საყვარელ შვილს მისცემს, უცხო¹⁵⁰ არ მისცემს.
151. (xxxii 26-51) თუ ქალს, რომელიც ცხოვრობს კაცის სახლში, უნდა ჰქონდეს ქმრის თანხმობა ხელშეკრულებით, რომ მისი ქმრის არცერთ კრედიტორს არ შეუძლია მისი დაკავება (მისი ვალების გამო) – თუ იმ კაცს აქვს ვალი, რომელიც ამ ქალთან დაქორწინებამდე აიღო, მის კრედიტორებს არ შეუძლიათ მისი ცოლის დაკავება; და თუ იმ ქალს აქვს ვალი, რომელიც მან კაცის სახლში შესვლამდე აიღო, მის კრედიტორებს არ შეუძლიათ მისი ქმრის დაკავება.
152. (xxxii 52-60) თუკი ქალი კაცის სახლში შევა¹⁵¹, შემდეგ ვალს (ერთად) დაიდებენ, ისინი ორივე¹⁵² გაუსტუმრებს ვაჭარს.
153. (xxxii 61-66) თუკი კაცის ცოლი ქმარს სხვა მამაკაცის გამო მოკლავს, ქალი მარგილზე უნდა გასვან.
154. (xxxii 67-71) თუკი კაცმა თავისი ქალიშვილი შეიწხო, ეს კაცი ქალაქიდან უნდა გააძეონ.
155. (xxxii 72-xxxiii 1) თუკი კაცი თავის შვილს საცოლეს შეურჩევს, მისი ვაჟი შეიწხოვს მას, შემდეგ (ქალთან) თვითონ დაწვება და წაასწრებენ, ეს კაცი უნდა შეკრან და წყალში გადააგდონ.
156. (xxxiii 2-17) თუკი კაცი თავის შვილს საცოლეს შეურჩევს, მის ვაჟს ჯერ არ შეუცვნია და თვითონ დაწვება მასთან, $\frac{1}{2}$ მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს მას. ამასთან, მან ყველაფერი უნდა დაუბრუნოს მას, რაც მამის სახლიდან მოიტანა და მის მიერ არჩეულ ქმარს შეუძლია ცოლად შეირთოს.
157. (xxxiii 18-23) თუკი კაცი მამის სიკვდილის შემდეგ დედასთან დაწვება, ისინი ორივე უნდა დაწვან.
158. (xxxiii 24-32) თუკი კაცი მამის გარდაცვალების შემდეგ მის (= მამის) უფროს მეუღლესთან დაწვება, რომელსაც შვილები ჰყავს ნაშობი, ეს კაცი მამის სახლიდან უნდა გაძედეს.
159. (xxxiii 33-46) თუკი კაცმა სიმამრის სახლში საქორწინო საჩუქარი მიიტანა და ურვადიც¹⁵³ გადაიხადა, (შემდეგ) სხვა ქალით დაინტერესდა და სიმამრს გამოუცხადა: „შენი ქალიშვილი ცოლად აღარ მომყავს.“ ქალიშვილის მამას შეუძლია რაც მას მიუტანეს, ყველაფერი დაიტოვოს.
160. (xxxiii 47-59). თუკი კაცმა სიმამრის სახლში მიიტანა საქორწინო ძღვენი, ურვადიც გადაიხადა, ხოლო ქალიშვილის მამა ეტყვის: „ჩემს ასულს არ გაგატან“, მან (= მამამ) ორმაგად უნდა დაუბრუნოს, რაც მიიტანა (სიძემ).
161. (xxxiii 60-77). თუკი კაცმა სიმამრის სახლში მიიტანა საქორწინო ძღვენი, ურვადიც გადაიხადა, ხოლო მისი მეგობარი ცილს დასწამებს (რის შედეგადაც) სიმამრი საცოლის პატრონს ეტყვის: „ჩემს ასულს ვერ წაიყვან“, მან (= მამამ) უნდა დააბრუნოს

¹⁴⁷ šarāku (a/u) – ჩუქება, ბოძება, მიცემა, დაჯილდოვება.

¹⁴⁸ ანუ ქონებაზე პრეტენზიას ვერ წაუყენებენ.

¹⁴⁹ warkatu – მამული, ქონება, მემკვიდრეობა.

¹⁵⁰ aḥu – უცხო, უცნობი, გარეშე პირი.

¹⁵¹ ana bīti ērub – განსაკუთრებით ითქმის ქალზე, რომელიც კაცს ცოლად მიჰყვება და მის სახლში შედის.

¹⁵² kilallāšunu, kilallīšunu – ისინი ორივე.

¹⁵³ terhatu(m), tirhatu(m)y – bride payment.

- ორმაგად ყველაფერი, რაც მიუტანეს. ასევე, მის მეგობარს არ შეეძლება ცოლად შეირთოს მისი საცოლე.
162. (xxxiii 78-xxxiv 6). თუკი კაცი ცოლს მოიყვანს, შვილებს უშობს, და ეს ქალი გარდაიცვლება,¹⁵⁴ მის მზითვეს ქალის მამა უკან ვერ მოითხოვს. მისი მზითვეი მხოლოდ მის შვილებს ეკუთვნის.
163. (xxxiv 7-23). თუკი კაცმა ცოლი მოიყვანა, ქალი შვილებს არ უშობს და ეს ქალი გარდაიცვლება, თუ მისი სიმამრი დაუბრუნებს ურვადს, რომელიც ამ კაცმა სიმამრის სახლში მიიტანა, ქმარი ვეღარ მოითხოვს ამ მზითვეს. მისი (= ქალის) მზითვეი მხოლოდ მამის სახლს ეკუთვნის.
164. (xxxiv 24-32). თუკი სიმამრმა ურვადი არ დააბრუნა, ქმარმა მისი მზითვეიდან ურვადის ღირებულება უნდა გამოქვითოს და მისი მზითვეი მამამისის სახლში ისე დააბრუნოს.
165. (xxxiv 33-50). თუკი კაცი დაბეჭდილი საბუთით გადასცემს თავის რჩეულ ვაჟს მიწას, ბაღს, ან სახლს, მამის გარდაცვალების შემდეგ ძმები გაიყოფენ ქონებას, იგი (= რჩეული ვაჟი) მამის მიერ ბოძებულ საჩუქარს აიღებს, ხოლო დარჩენილ ქონებას ისინი (= ძმები) თანაბრად გაიყოფენ.
166. (xxxiv 51-73). თუკი კაცი თავის შვილებს ცოლებს მოუყვანს, მცირეწლოვანი ვაჟს კი არ მოუყვანს, როდესაც ძმები ქონებას გაიყოფენ მამის გარდაცვალების შემდეგ, მათ მამის ქონებიდან უცოლო უმცროს ძმას მისი კუთვნილი წილის გარდა ურვადის საფასური ვერცხლიც უნდა გამოუყონ და ასევე დაეხმარონ ცოლის მოყვანაში.
167. (xxxiv 74-xxxv 8). თუკი კაცი მოიყვანს ცოლს და იგი შვილებს უშობს, შემდეგ კი ის ქალი გარდაიცვლება, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ იგი (= კაცი) სხვა ქალს მოიყვანს და ისიც შვილებს უშობს, მამის გარდაცვალების შემდეგ, შვილებმა არ უნდა გაიყონ ქონება დედების მიხედვით. მათ უნდა აიღონ თავთავიანთი დედების წილი და მამის ქონება კი თანაბრად უნდა გაიყონ.
168. (xxxv 9-24). თუკი კაცი ვაჟის (მემკვიდრეობისგან) მოკვეთას განიზრახავს და მოსამართლეებს ეტყვის: „ვაჟი უნდა მოვიკვეთო“, მოსამართლეები მის საქმეს განიხილავენ და, თუკი ვაჟს მემკვიდრეობისგან მოსაკვეთი დანაშაული არ ჩაუდენია, მამამ თავისი ვაჟი არ უნდა მოკვეთოს.
169. (xxxv 25-36). თუკი მას მემკვიდრეობისგან მოსაკვეთი დანაშაული აქვს ჩადენილი. პირველ ჯერზე უნდა აპატიონ. თუკი იგი დააშავებს მეორე ჯერზე, მაშინ მამას შეუძლია ის თავისი (მემკვიდრეობისგან) მოკვეთოს.
170. (xxxv 37-59). თუკი კაცს პირველი ცოლი შვილებს უშობს და მისი მონა ქალიც¹⁵⁵ უშობს შვილებს და მამა სიცოცხლეში მონა ქალის ნაშობ შვილებს ეტყვის:¹⁵⁶ „ჩემი შვილები“, და მათ პირველი ცოლის შვილებს გაუთანაბრებს, როდესაც მამა გარდაიცვლება, პირველი ცოლის შვილები და მონა ქალის შვილები თანაბრად გაინაწილებენ მამის ქონებას; თუ რჩეული მემკვიდრე პირველი ცოლის ვაჟია, ის პირველი აირჩევს და წაიღებს თავის წილს.
171. (xxxv 60-xxxvi 5). თუკი მამა სიცოცხლეში მონა ქალისგან ნაშობ შვილებს არ ეტყვის: „ჩემი შვილები“, მამის გარდაცვალების შემდეგ, მონა ქალის შვილები პირველი ცოლის შვილებთან მამის ქონებას არ გაიყოფენ. მონა ქალი და მისი შვილები უნდა გათავისუფლდნენ; პირველი ცოლის შვილები მონა ქალის შვილებს ვერ დაიმონებენ. პირველმა ცოლმა უნდა აიღოს თავისი მზითვეი და საქორწინო ძღვენი, რომელიც მისმა მეუღლემ გადასცა წერილობით და მან უნდა გააგრძელოს ცხოვრება მისი მეუღლის სახლში. სანამ ის ცოცხალია, მას შეეძლება მისი გამოყენება, მაგრამ არ შეეძლება მისი გაყიდვა; მისი საკუთარი ქონება მხოლოდ მისივე შვილების მემკვიდრეობა იქნება.

¹⁵⁴ სიტყვ.: ბედისწერა, თავის ბედზე წავიდა, ანუ გარდაიცვალა.

¹⁵⁵ = მოახლე, მსახური, მონა ქალი.

¹⁵⁶ ანუ შვილებად აღიარებს.

172. (xxxvi 6-40). თუკი მისი ქმარი საქორწინო ძღვენს არ მისცემს მას (= ცოლს), მას უნდა აუნაზღაურონ მისი მთელი მზითვი და ის წაიღებს ქმრის მემკვიდრეობის ქონებიდან წილს, რომელიც ღირებულებით შეესაბამება ერთი მემკვიდრის წილს. თუკი შვილები აიძულებენ სახლიდან წასვლას, მოსამართლეები განიხილავენ მის საკითხს და დააჯარიმებენ შვილებს. ეს ქალი არ დატოვებს ქმრის სახლს. თუკი ეს ქალი თავად გადაწყვეტს წასვლას, შვილებს უნდა მისცეს ქმრის დატოვებული საქორწინო ძღვენი; ის მამის სახლიდან მოტანილ მზითვს წაიღებს და შეუძლია მის მიერ არჩეულ ქმარს ცოლად გაყვეს.
173. (xxxvi 41-50). თუკი ის ქალი შვილებს უშობს მის მეორე ქმარს, რომლის სახლშიც ის შევიდა, იმ ქალის გარდაცვალების შემდეგ მისმა პირველმა და მეორე ქმრის შვილებმა თანაბრად უნდა გაინაწილონ მისი მზითვი.
174. (xxxvi 51-56). თუკი ის არ უშობს შვილებს მეორე ქმარს, მხოლოდ მისი პირველი ქმრის შვილები წაიღებენ მის მზითვს.
175. (xxxvi 57-68). თუკი სასახლის მონა ან დამოკიდებულის (= მუშქენის) მონა ცოლად მოიყვანს კაცის ქალიშვილს და იგი შვილებს უშობს, მონის პატრონი კაცის ქალიშვილის შვილების მსახურებას ვერ მოითხოვს.
- 176ა. (xxxvi 69-xxxvii 9). თუკი სასახლის მონა ან დამოკიდებულის (= მუშქენის) მონა ცოლად მოიყვანს კაცის ქალიშვილს და ქორწინების შემდეგ ის (ქალი) სასახლის მონის ან დამოკიდებულის (= მუშქენის) მონის სახლში მამის სახლიდან მოტანილი მზითვით შევა, და თანაცხოვრების შემდეგ სახლს აიშენებენ და ქონებას მოიხვეჭენ, შემდეგ სასახლის მონა ან დამოკიდებულის (= მუშქენის) მონა გარდაიცვლება, კაცის ქალიშვილმა უნდა წაიღოს თავისი მიზთი. შემდგომ მათ ორ ნაწილად უნდა გაყონ ყველაფერი, რაც მისმა ქმარმა და მან დააგროვეს ერთად ცხოვრების დაწყების შემდეგ. ხოლო მონის პატრონმა უნდა მიიღოს ნახევარი და კაცის ქალიშვილი მიიღებს ნახევარს თავისი შვილებისთვის.
- 176ბ. (xxxvii 10-21). თუკი კაცის ქალიშვილს არ აქვს მზითვი, მაშინ უნდა გაყონ ორ ნაწილად ყველაფერი, რაც მისმა ქმარმა და მან დააგროვეს ერთად ცხოვრების დაწყების შემდეგ. ხოლო მონის პატრონმა უნდა მიიღოს ნახევარი და კაცის ქალიშვილი მიიღებს ნახევარს თავისი შვილებისთვის.
177. (xxxvii 22-60). თუკი ქვრივი ქალი, რომლის შვილები ჯერ კიდევ ყრმები არიან, გადაწყვეტს სხვის სახლში შესვლას, ის ვერ შევა მოსამართლეების თანხმობის გარეშე. როდესაც იგი შევა სხვის სახლში, მოსამართლენი შეისწავლიან მისი პირველი მეუღლის ქონებას და გადასცემენ ყოფილი ქმრის ქონებას მეორე ქმარს და იმ ქალს დაავალებენ ფირფიტის შედგენას. ისინი ქონებას მიხედავენ და გაზრდიან მცირეწლოვან შვილებს; მათ არ უნდა გაყიდონ სახლის ნივთები. ნებისმიერი მყიდველი, რომელიც იყიდის ქვრივის შვილების სახლის ნივთებს, დაკარგავს თავის ვერცხლს, ხოლო ქონება დაუბრუნდება მის მფლობელს.
178. (xxxvii 61-xxxviii 19). თუკი *უგბაბტუს*, *ნადიტუს* ან *სეკრეტუს*¹⁵⁷ მამა მზითვს მისცემს და ფირფიტას დაუწერს, მაგრამ მისთვის დაწერილ ფირფიტაში მას არ აძლევს წერილობით უფლებამოსილებას, გადასცეს თავისი ქონება ვისაც სურს და არ აძლევს მას სრული განკარგვის უფლებასაც, – მამის გარდაცვალების შემდეგ, მისი ძმები წაიღებენ მის მიწას, მის ბაღს და მას კი საკვები, ზეთი და ტანსაცმელი უნდა მისცენ მისი მემკვიდრეობის წილის შესაბამისად და ამგვარად დააკმაყოფილონ. თუკი მისი ძმები არ მისცემენ საკვებს, ზეთს და ტანსაცმელს მისი მემკვიდრეობის წილის შესაბამისად და ამგვარად არ დააკმაყოფილებენ, მას შეუძლია თავისი მიწა და ბაღი მის მიერ არჩეულ ნებისმიერ მიწათმოქმედს მისცეს და ეს მიწათმოქმედი დაეხმარება მას. სანამ ცოცხალია, იგი მოიხმარს მამის მიერ დატოვებულ თავის მიწას, ბაღსა და

¹⁵⁷ *ugbabbtu(m)*, *naditu(m)*, *sekretu(m)* – ქალ ქურუმთა კატეგორიები; ქალთა კლასის წარმომადგენლები.

- ყველაფერს, მაგრამ მან არ უნდა გაყიდოს იგი და სხვას ვალში არ უნდა მისცეს: მისი მემკვიდრეობა მხოლოდ მის ძმებს ეკუთვნის.
179. (xxxviii 20-42). თუკი *უგბაბთუს*, *ნადითუს* ან *სეჟრეთუს* მამა მზითვს მისცემს და ფირფიტას დაუწერს, აძლევს მას წერილობით უფლებამოსილებას, გადასცეს თავისი ქონება ვისაც სურს და აძლევს მას სრულ განკარგვის უფლებას, – მამის გარდაცვალების შემდეგ, ის გადასცემს თავის ქონებას მას ვისაც სურს; ძმები ამის გამო მას ვერ უჩივლებენ.
180. (xxxviii 43-59). თუკი მამა თავის ქალიშვილს – ტადრის¹⁵⁸ *ნადითუს* ან *სეჟრეთუს*¹⁵⁹ მზითვს არ მისცემს, მამის გარდაცვალების¹⁶⁰ შემდეგ მას ექნება მამის მემკვიდრეობის ქონებიდან წილი, რომელიც ღირებულებით შეესაბამება ერთი მემკვიდრის წილს. სანამ ის ცოცხალი იქნება, ისარგებლებს. მისი ქონება მხოლოდ მის ძმებს ეკუთვნის.
181. (xxxviii 60-75). თუკი მამა თავის ქალიშვილს როგორც *ნადითუ*, *ქადიმთუ*¹⁶¹ ან *ქულმაშითუ*,¹⁶² ღვთაებას შესწირავს, მაგრამ მზითვს არ მისცემს, მამის გარდაცვალების შემდეგ, მას ექნება მამის მემკვიდრეობის ქონებიდან 1/3 წილი მემკვიდრეობის სახით; სანამ ის ცოცხალი იქნება, ისარგებლებს. მისი ქონება მხოლოდ მის ძმებს ეკუთვნის.
182. (xxxviii 76-xxxix 1). თუკი მამა თავის ქალიშვილს, ქალაქ ბაბილონის ღვთაება მარდუქის *ნადითუს*, მზითვს არ მისცემს, დაბეჭდილ დოკუმენტს არ დაუწერს, მამის გარდაცვალების შემდეგ, მას ექნება მამის მემკვიდრეობის ქონებიდან ერთი მესამედი წილი მემკვიდრეობის სახით ძმებთან ერთად, მაგრამ არ შეასრულებს რაიმე სამსახურებრივ ვალდებულებას. ღვთაება მარდუქისადმი მიძღვნილ *ნადითუს* თავისი მემკვიდრეობა შეუძლია სურვილისამებრ გასცეს.
183. (xxxix 2-14). თუკი მამა თავის ქალიშვილს, *შუგიითუს* მზითვს მისცემს¹⁶³, ქმარს მიათხოვებს და მას ბეჭდიან საბუთსაც დაუწერს, მამის გარდაცვალების შემდეგ, მას მამის მემკვიდრეობის ქონებიდან წილი არ ექნება.
184. (xxxix 15-30). თუკი მამა თავის ქალიშვილს, *შუგიითუს* მზითვს არ მისცემს. ქმარს არ მიათხოვებს, მამის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ძმებმა მამის მემკვიდრეობის ქონების შესაძლებლობის შესაბამისად უნდა გააძიონ და ქმარს მიათხოვონ.
185. (xxxix 31-38). თუკი კაცი უასაკო ბავშვს თავის სახელზე იშვილებს და აღზრდის, შვილად აყვანილი ბავშვი (მამის სახლში) ვერ დაბრუნდება.
186. (xxxix 39-49). თუ კაცი უასაკო ბავშვს თავის სახელზე იშვილებს, შვილად აყვანის შემდეგ (ბავშვი) თავის მამას და დედას მოძებნის, აღზრდილს შეუძლია მამის სახლში დაბრუნდება.
187. (xxxix 50-53). სასახლის მსახურის¹⁶⁴ შვილი ან *სეჟრეთუს*¹⁶⁵ შვილი, (მამის სახლში) ვერ დაბრუნდება.
188. (xxxix 54-59). თუკი ხელოსანი უასაკო ბავშვს აღსაზრდელად აიყვანს, ასწავლის თავის ხელობას, ის (მამის სახლში) ვერ დაბრუნდება.
189. (xxxix 60-64). თუკი ის (= ხელოსანი) მას (= ბავშვს) თავის ხელობას არ ასწავლის, აღზრდილს შეუძლია მამის სახლში დაბრუნდეს.
190. (xxxix 65-74). თუკი კაცი უასაკო ბავშვს, რომელიც მან შვილად აიყვანა და გაზარდა, მაგრამ შვილების თანასწორად არ ჩათვლის, აღზრდილს შეუძლია მამის სახლში დაბრუნდეს.

¹⁵⁸ gagu(m) "cloister" O/JB [GA.GI4/GI.A] for priestesses.

¹⁵⁹ sekkiu — sekiru, sekretu(m), sekrtu, sekertu(m)y sekru(m) -"enclosed (woman)".

¹⁶⁰ სიტყვ.: რაც მამა თავის ბედზე წავა.

¹⁶¹ qadištu(m) – ქურუმ ქალთა კატეგორია.

¹⁶² kulmaštu(m) – საკულტო როსკიპი, ქრუმ ქალთა კატეგორია.

¹⁶³ šarāku (a/u) – მიცემა, ჩუქება, დაჯილდოვება.

¹⁶⁴ muzzaz ekalli – სასახლის მსახური, girsiqu (GIR.SI.GA) – მსახური, ქვეშევრდომი, ლაქია.

¹⁶⁵ sekretu(m) – ქალთა სოციალური კლასი.

191. (xxxix 75-95). თუკი კაცი უასაკო ბავშვს შვილად აიყვანს და გაზრდის, (შემდეგ) შექმნის ოჯახს, ეყოლება (საკუთარი) შვილები და აღზრდილისთვის მემკვიდრეობის ჩამორთმევას გადაწყვეტს, ეს (აღზრდილი) ბავშვი ხელცარიელი არ უნდა წავიდეს; აღზრდელმა მამამ თავისი ქონების 1/3 წილი მემკვიდრეობის სახით უნდა მისცეს და ის წავა; მიწიდან, ბაღიდან ან სახლიდან არაფერს მისცემს.
192. (xxxix 96-xl 9). თუკი სასახლის მსახურის შვილი ან *სეკრეთუს* შვილი გამზრდელ მამას ან გამზრდელ დედას ეტყვის: „შენ მამაჩემი არ ხარ“, ან „შენ დედაჩემი არ ხარ“, ენა უნდა მოაჭრან.
193. (xi 10-22). თუკი სასახლის მსახურის შვილი ან *სეკრეთუს* შვილი მამის სახლს მიაგნებს,¹⁶⁶ გამზრდელ მამას ან გამზრდელ დედას უარყოფს და მამის სახლში წავა, თვალი უნდა ამოთხარონ.
194. (xi 23-40). თუკი კაცი თავის შვილს ძიძას¹⁶⁷ მიაბარებს და ეს ბავშვი ძიძის ხელში მოკვდება, და შემდეგ ძიძა მამისა და დედის უჩუმრად სხვა ბავშვს შეახვევს¹⁶⁸, ის უნდა ამხილონ, რადგან მან მამისა და დედის უჩუმრად სხვა ბავშვი შეახვია, მკერდი უნდა მოაჭრან.
195. (xi 41-44). თუკი ვაჟიშვილი მამას დაარტყამს, ხელი უნდა მოკვეთონ.
196. (xl 45-49). თუკი კაცი კაცს თვალს დაუბრმავებს, მასაც უნდა დაუბრმაონ თვალი.
197. (xl 50-53). თუკი ის (= კაცი) სხვა კაცს ძვალს მოსტეხს, მასაც უნდა მოსტეხონ ძვალი.
198. (xl 54-59). თუკი დამოკიდებულს (= მუშქენს) თვალს დაუბრმავებს ან დამოკიდებულს ძვალს მოსტეხს, 1 *მინა* ვერცხლი უნდა მიუწონოს.
199. (xl 60-65). თუკი ის (= კაცი) კაცის მონას თვალს დაუბრმავებს ან კაცის მონა ქალს ძვალს მოსტეხს, მისი (= მონის) ღირებულების ნახევარი (ვერცხლით) უნდა მიუწონოს.
200. (xl 66-70). თუკი კაცი თავის სწორ კაცს კბილს ჩაუმტვრევს, მასაც უნდა ჩაუმტვრიონ კბილი.
201. (xl 71-74). თუკი იგი დამოკიდებულს (= მუშქენს) ჩაუმტვრევს კბილს, 20 *შიკლი* ვერცხლი უნდა მიუწონოს.
202. (xl 75-81). თუკი კაცი სილას გააწნის თავისზე უპირატეს კაცს, იგი ხარის კუდით 60-ჯერ საჯაროდ უნდა გაროზგონ.
203. (xl 82-87). თუკი კაცის ვაჟი თავის სწორ კაცს სილას გააწნის, 60 *შიკლი* ვერცხლი უნდა მიუწონოს.
204. (xl 88-91). თუკი დამოკიდებული (= მუშქენი) სილას გააწნის სხვა დამოკიდებულს, 10 *შიკლი* ვერცხლი უნდა მიუწონოს.
205. (xl 92-xli 3). თუკი კაცის მონა თავისუფალი წრის ადამიანს სილას გააწნავს, მას ყური უნდა მოაჭრან.
206. (xli 4-13). თუკი კაცი სხვა კაცს სცემს და ჩხუბის დროს ჭრილობას მიაყენებს, ეს კაცი დაიფიცებს: „მე განზრახ არ მიჩხუბია“, მან მკურნალობა უნდა აუნაზღაუროს.
207. (xli 14-19). თუკი იგი ცემისას გარდაიცვლება, მან უნდა დაიფიცოს (რომ განზრახ არ უჩხუბია); თუკი იგი (= დამნაშავე) თავისუფალი წრიდანაა, მან 30 *შიკლი* ვერცხლი უნდა მიუწონოს.
208. (xli 20-22). თუკი იგი (= დამნაშავე) დამოკიდებულის (= მუშქენის) წრიდანაა, 20 *შიკლი* ვერცხლი უნდა მიუწონოს.
209. (xli 23-30). თუკი კაცი თავისუფალი წრის ქალს სცემს და მუცელს მოუშლის, მისი ნაყოფისათვის 10 *შიკლი* ვერცხლი უნდა მიუწონოს.

¹⁶⁶ wadum, M/NA udau "to know" [zu] G (pres. udda/i or uda/i) M/NA "know" (Bab., OA edfiU) D Bab., OA 1. "identify, recognize" 2. "make known, communicate, reveal; make intelligible" 3. "assign, allocate" s.th., "appoint" s.o. 4. "define, prescribe" Dt Bab., pass, of D 1. "be identified, recognized" 2. "receive as allocation" 3. "be appointed, assigned" SD OB, as D 3 "allocate, assign".

¹⁶⁷ mušēniqtu – ძიძა, გამზრდელი.

¹⁶⁸ rakasu (m) – მკერა, მუცევა.

210. (xli 31-34). თუკი ეს ქალი მოკვდება, მისი (= დამნაშავეს) ქალიშვილი უნდა მოკლან.
211. (xli 35-40). თუკი იგი დამოკიდებულის (= მუშქენის) წრის ქალს სცემს და მუცელს მოუშლის, მან 5 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.
212. (xli 41-44). თუკი ქალი მოკვდება, მან (დამნაშავემ) 30 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.
213. (xli 45-50). თუკი იგი თავისუფალი წრის მონა ქალს სცემს და მუცელს მოუშლის, მან 2 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.
214. (xli 51-54). თუკი ეს მონა ქალი მოკვდება, მან 20 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.
215. (xli 55-66). თუკი ექიმი კაცს რთულ ოპერაციას ჩაუტარებს ბრინჯაოს ლანცეტით და კაცს განკურნავს ან კაცს ბრინჯაოს ლანცეტით ლიბრს მოაცლის და ასე განკურნავს კაცის თვალს, მან (გასამრჯელოდ) 10 შიკლი ვერცხლი უნდა აიღოს.
216. (xli 67-69). თუკი იგი (= ავადმყოფი) დამოკიდებულის (= მუშქენის) წრიდანაა, მან (ექიმმა გასამრჯელოდ) 5 შიკლი ვერცხლი უნდა აიღოს.
217. (xli 70-73). თუკი იგი (ავადმყოფი) თავისუფალი კაცის მონაა, მონის ბატონმა ექიმს (გასამრჯელოს) 2 შიკლი ვერცხლი უნდა მისცეს.
218. (xli 74-83). თუკი ექიმი კაცს რთულ ოპერაციას ჩაუტარებს ბრინჯაოს ლანცეტით და კაცს მოკლავს, ან კაცს ბრინჯაოს ლანცეტით ლიბრს მოაცლის და თვალს დაუბრმავებს, მას ხელი უნდა მოაჭრან.
219. (xli 84-88). თუკი ექიმი დამოკიდებულის (= მუშქენის) მონა კაცს რთულ ოპერაციას ჩაუტარებს და მოკლავს, მან ეს მონა შესაბამისი ფასის მონით უნდა ჩაანაცვლოს.
220. (xli 89-94). თუკი თვალის ლიბრს ბრინჯაოს ლანცეტით¹⁶⁹ გაუხსნის და ამით მის თვალს შეიწირავს. მისი (= მონის) ღირებულების ნახევარი (ვერცხლით) უნდა მიუწონოს.
221. (xli 95-xlii 9). თუკი მკურნალი კაცს მოტეხილ ძვალს გაუმთელებს ან მტკივნეულ¹⁷⁰ სახსარს(?) განკურნავს. დაშავებულმა¹⁷¹ ექიმს 5 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.
222. (xlii 10-12). თუკი ის (= ავადმყოფი) დამოკიდებულის (= მუშქენის) ვაჟიშვილია, 3 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.
223. (xlii 13-17). თუკი (= ავადმყოფი) კაცის მონაა, მონის პატრონმა მკურნალს 2 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.
224. (xlii 18-28). თუკი მკურნალი¹⁷² ხარს ან ვირს მძიმე ოპერაციას¹⁷³ გაუკეთებს და განკურნავს, ხარის ან ვირის პატრონმა მკურნალს ვერცხლის 1/6¹⁷⁴ უნდა მისცეს.
225. (xlii 29-35). თუკი (მკურნალი) ხარს ან ვირს მძიმე ოპერაციას გაუკეთებს და მოკვდება, ხარის ან ვირის პატრონს მისი (= პირუტყვის) ღირებულების 1/4 უნდა მისცეს.
226. (xlii 36-42). თუკი დალაქი მონა კაცის პატრონის თანხმობის გარეშე მონას (თავზე) თმანიშნს¹⁷⁵ გადაპარსავს, (რათა ვერ მოძებნონ), ამ დალაქს ხელი უნდა მოკვეთონ.¹⁷⁶
227. (xlii 43-55). თუკი კაცი დალაქს შეაცდენს, მონას თმანიშნს მოაპარსვინებს, (რათა ვერ მოძებნონ), ის კაცი უნდა მოკლან – ჩამოახრჩონ თავის კარებთან. დალაქმა (კი) უნდა დაიფიცოს: „რომ მცოდნოდა¹⁷⁷ არ გავპარსავდი,“ და გაათავისუფლებენ.

¹⁶⁹ karzillu – საოპერაციო დანა.

¹⁷⁰ maršu – მტკივნეულ.

¹⁷¹ bēl simmi – დაშავებული; ავადმყოფი, პაციენტი.

¹⁷² asû (A.ZU) – ექიმი, მკურნალი. აქ: ვეტერინარი, ცხოველების ექიმი.

¹⁷³ simmu – ჭრილობა.

¹⁷⁴ süssu(m) I "one-sixth" O/jB [IGI.6.GAL].

¹⁷⁵ abbuttu – თავისებური, განსაკუთრებული თმის ვარცხნილობა; მონის თავსაბურავი.

¹⁷⁶ ამ კანონის მიზანი ორგვარია: პატრონის უფლებების დაცვა – მონის პატრონს ჰქონდა უფლება, რომ მისი მონა ადვილად ამოსაცნობი ყოფილიყო. თმის მოჭრით დალაქი ამ მაიდენტიფიცირებელ ნიშანს მლიდა; სამართლიანი სასჯელი – მკაცრი სასჯელი, ხელის მოკვეთა, მიუთითებს იმაზე, რომ ეს ქმედება ძალიან სერიოზულ დანაშაულად ითვლებოდა. ეს, სავარაუდოდ, მიზნად ისახავდა მონის გაქცევაში დახმარების აღკვეთას და მონობის სისტემის დაცვას.

¹⁷⁷ idû, edû – ცოდნა, შეცნობა.

228. (xlīi 56-63). თუკი მშენებელი¹⁷⁸ კაცს სახლს აუშენებს (და) დაუმთავრებს, სახლის ყოველ სარფართობზე 2 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.
229. (xlīi 64-72). თუკი მშენებელი კაცს სახლს აუშენებს, მაგრამ თავის საქმეს¹⁷⁹ არამკვიდრად¹⁸⁰ შეასრულებს, აშენებული სახლი დაინგრევა და სახლის პატრონი მოკვდება, ის მშენებელი უნდა მოკვდეს.
230. (xlīi 73-76). თუკი სახლის პატრონის ვაჟიშვილი მოკვდება, ამ მშენებლის ვაჟიშვილი უნდა მოკვდეს.
231. (xlīi 77-81). თუკი სახლის პატრონის მონა მოკვდება, სახლის პატრონს (იმ) მონის ნაცვლად¹⁸¹ (სხვა) მონა უნდა მისცეს.
232. (xlīi 82-92). თუკი ქონება გაუნადგურდება,¹⁸² ყველაფერი განადგურებული უნდა აანაზღაუროს, ამასთან რადგან სახლი მყარად არ აუშენებია და ჩამოინგრა, დანგრეული სახლი თვითონ უნდა ააშენოს.
233. (xlii 93-xlii 3). თუკი მშენებელი კაცს სახლს აუშენებს, მაგრამ საქმეს დააკლო და კედელი გადმოწევა, მშენებელმა დაზიანებული¹⁸³ კედელი თვითონ უნდა გაამაგროს.
234. (xlii 4-9). თუკი მენავე¹⁸⁴ კაცს 60 გურის ნავს¹⁸⁵ შეუფისავს¹⁸⁶, ნავის პატრონმა 2 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.
235. (xlii 10-26) თუკი მენავემ კაცს ნავი შეუფისა, მაგრამ თავის საქმეს არასანდოდ¹⁸⁷ შეასრულებს და იმავე წელს ნავს ხარვეზი¹⁸⁸ აღმოაჩნდება, მენავემ ეს ნავი უნდა დაშალოს და იგი თვითონ (საკუთარი ხარჯებით) უნდა გაამაგროს¹⁸⁹ და გამაგრებული ნავი პატრონს უნდა მისცეს.
236. (xlii 27-37). თუკი კაცი თავის ნავს მენავეს მიაქირავებს. მენავე დაუდევრად მოიქცევა და ნავს ჩადირავს ან დაკარგავს. მენავემ ნავის პატრონს ნავი უნდა აუნაზღაუროს.
237. (xlii 38-55). თუკი კაცი მენავეს და ნავს დაიქირავებს, ნავს დატვირთავს ხობრლით (= მარცვლეულით), მატყლით, ზეთით, ფინიკით ან ნებისმიერი სხვა საქონლით, მენავე დაუდევრად მოიქცევა და ნავს ჩადირავს და რაც შიგ იყო განადგურდება, მენავემ ჩადირული ნავი და განადგურებული საქონელი უნდა აანაზღაუროს.
238. (xlii 56-61). თუკი მენავე კაცის ნავს ჩადირავს და (შემდეგ) ამოიღებს წყლიდან, მისი ღირებულების ნახევარი ვერცხლით უნდა მიუწონოს.
239. (xlii 62-66). თუკი კაცი მენავეს დაიქირავებს, წელიწადში 6 გური ხორბალი (= მარცვლეული) უნდა მისცეს.
240. (xlii 67-80). თუკი ზემო დინების ნავი, დაეჯახება ქვემო დინების ნავს, და ჩადირავს, ჩადირული ნავის პატრონმა ღვთაების წინაშე უნდა დაადგინოს მისი ნავიდან დაკარგული ქონება. ხოლო ზემო დინების ნავის მეპატრონემ, რომელმაც ქვემო დინების ნავი ჩადირა, მას (= მენავეს) ნავი და დაკარგული ქონება უნდა აუნაზღაუროს.
241. (xlii 81-84). თუკი კაცი (თვითნებურად) დააკავებს¹⁹⁰ ხარს, მან (მეპატრონეს) 1/3 მინა ვერცხლი უნდა მოუწონოს.

¹⁷⁸ itinnu – მშენებელი.

¹⁷⁹ šipru – საქმე.

¹⁸⁰ dannu – ძლიერი, მყარი.

¹⁸¹ kima – ნაცვლად, მსგავსად, მიხედვით.

¹⁸² ḫalāqu – განადგურება.

¹⁸³ kasapu(m) – დარღვეული, გატეხილი, დაზიანებული.

¹⁸⁴ malaḫu (MA.LAH6) – მეზღვაური, მენავე, მეხომალდე.

¹⁸⁵ eleppu – ნავი.

¹⁸⁶ peḫu (i/i) – დაგმანვა, დახურვა; pehu(m) II, OA paha'um, NB also pahu "to close up, seal" G (i/i) [US] part of body; house, wall, chest, with clay, bitumen; "caulk, seal" boat, oven; "block" canal, with wall; "shut in".

¹⁸⁷ takālu – ნდობა, ნამდვილი, ჭეშმარიტი.

¹⁸⁸ ḫiṭītu – შეცდომა, ზიანი, ხარვეზი.

¹⁸⁹ danānu – ძლიერი, მყარი.

¹⁹⁰ = დააყადაღებს.

- 242/243. (xliv 85-91). თუკი კაცი მას (= ხარს) ერთი წლით დაიქირავეს, მან (ხარის) პატრონს უნდა მისცეს ქირა 4 გური მარცვლეული (ნახირში) უკანა ხარისთვის¹⁹¹ და ქირა 3 გური მარცვლეული შუა ხარისთვის.¹⁹²
244. (xliv 1-5). თუკი კაცი დაიქირავეს ხარს ან ვირს, ხოლო მას ველად ლომი მოკლავს; ეს პატრონის ზარალია.
245. (xliv 6-13). თუკი კაცი ხარს დაიქირავეს და დაუდევრობით ან ცემით მოკლავს, მან ხარის პატრონს შესაბამისი ღირებულების ხარით უნდა აუნაზღაუროს.
246. (xliv 14-21). თუკი კაცი ხარს დაიქირავეს, ფეხს მოტეხს ან კისრის მყესს გადაუჭრის, მან ხარის პატრონს შესაბამისი ღირებულების ხარით უნდა აუნაზღაუროს.
247. (xliv 22-27). თუკი კაცი ხარს დაიქირავეს და თვალს დაუბრმავეს, მან ხარის პატრონს მისი ღირებულების ნახევარი ვერცხლით უნდა აუნაზღაუროს.
248. (xliv 28-35). თუკი კაცი ხარს დაიქირავეს და რქას მოტეხს, კუდს მოაჭრის ან ჩლიქის მყესს ჩაუჭრის, მისი ღირებულების 1/4 უნდა გადაუხადოს.
249. (xliv 36-43). თუკი კაცი ხარს დაიქირავეს და ღვთაება მას მოკლავს,¹⁹³ ხარის დამქირაველმა კაცმა, ღვთაება უნდა დაიფიცოს და გათავისუფლდება.
250. (xliv 44-51). თუკი ხარი კაცს ქუჩაში სასიკვდილოდ ურქენს, ეს საქმე ვერ გასაჩივრდება.
251. (xliv 52-65). თუკი კაცის ხარი მარქენალია და ამ ქალაქის მთავრები აცნობებენ მას, რომ ის მარქენალია, მაგრამ იგი არ მოუქლიბავს რქებს ან არ მიაქცევს ყურადღებას (თავის) ხარს, ხოლო ეს ხარი სასიკვდილოდ ურქენს თავისუფალი წრის წევრს, მან (= პატრონმა) 1/2 მინა¹⁹⁴ ვერცხლი უნდა მიუწონოს.
252. (xliv 66-68). თუკი ის (= დაღუპული) კაცის მონაა, 1/3 მინა¹⁹⁵ ვერცხლი უნდა მიუწონოს.
253. (xliv 69-82). თუკი კაცი დაიქირავეს სხვა კაცს თავისი ყანის მოსავლეად, მიანდობს მას თავის მარცვლეულის მარაგს, მიანდობს ხარებზე ზრუნვას და შეუთანხმდება ყანის მოხვნაზე – თუკი ეს კაცი მოიპარავს თესლს ან საკვებს და მას უპოვნიან, მას ხელი უნდა მოაჭრან.
254. (xliv 83-87). თუკი იგი აიღებს მარცვლეულის მარაგს და ამით დაასუსტებს საქონელს, მან აღებული მარცვლეული ორმაგად უნდა აუნაზღაუროს.
255. (xliv 88-96). თუკი იგი დაიქირავეს კაცის ხარებს ან მოიპარავს მარცვლეულს და ასე არ მოიყვანს მოსავალს, ამ კაცს ამხელენ და მან მოსავლის აღებისას 1 ბურზე¹⁹⁶ 60 ქურ¹⁹⁷ მარცვლეული უნდა მიუწყას.
256. (xliv 97-100). თუკი მას გადახადა არ შეუძლია, მაშინ იგი ყანაში პირუტყვმა უნდა ათრიოს.
257. (xliv 101-xlv 4). თუკი კაცი დაიქირავეს მიწათმოქმედს, მან წლიურად 8 ქურ¹⁹⁸ მარცვლეული უნდა მისცეს.
258. (xliv 5-9). თუკი კაცი დაიქირავეს მეხრეს, მან წლიურად 6 ქურ¹⁹⁹ მარცვლეული უნდა მისცეს.
259. (xiv 10-15). თუკი კაცი მოიპარავს გუთანს საერთო სარწყავი მიწიდან, მან გუთნის პატრონს 5 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.
260. (xliv 16-20) თუკი გუთანს²⁰⁰ ან ფარცხს²⁰¹ მოიპარავს, 3 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.

¹⁹¹ warkatim [GU₄.(A.)UR.RA] "rear ox (of team)".

¹⁹² qabla "(in) the middle" OB in alpum sa qabla [GU₄.AB.MURU] "central ox" (of team).

¹⁹³ სავარაუდოდ მუხის დაცემა იგულისხმება.

¹⁹⁴ = 30 შიკლი.

¹⁹⁵ = 20 შიკლი.

¹⁹⁶ = 18 იქუ.

¹⁹⁷ = 18000 სილა.

¹⁹⁸ = 2400 სილა.

¹⁹⁹ = 1800 სილა.

²⁰⁰ ħarbu (GIŠAPIN.TUK.KIN) – კვლის გუთანი.

²⁰¹ maškakātu (GIŠGÁN.ÜR) – ფარცხი.

261. (xlv 21-27) თუკი კაცი მწყემსს²⁰² ძროხის²⁰³ ან ცხვრისა და თხის²⁰⁴ სამწყემსავად²⁰⁵ დაიქირავებს, წელიწადში 8 გური მარცვლეული (= ხორბალი) უნდა მისცეს.
262. (xlv 28-36) თუკი კაცი ხარს ან ცხვარს²⁰⁶ [მწყემსს ...]
263. (xlv 37-43) თუკი მიზარებული ხარი ან ცხვარი დაიკარგება, მის პატრონს ხარი მსგავსი ხარით, ცხვარი მსგავსი ცხვრით უნდა აუნაზღაუროს.
264. (xiv 44-60) თუკი მწყემსი, რომელსაც ძროხას ან ცხვარს და თხას სამწყემსავად მისცემენ და გასამრჯელოს²⁰⁷ მთლიანად აიღებს და დაკმაყოფილდება, ამის მიუხედავად, ძროხას ან ცხვარსა და თხას რაოდენობრივად შეამცირებს, ან ნამატს²⁰⁸ დააკლებს, მან ნამატი და შემოსავალი²⁰⁹ ხელშეკრულების მიხედვით უნდა გადაიხადოს.
265. (xlv 61-75) თუკი მწყემსი, რომელსაც ძროხას ან ცხვარს და თხას სამწყემსავად მისცემენ, ითაღლითებს²¹⁰, დამდას²¹¹ შეუცვლის და მათ ვერცხლზე გაყიდის, უნდა ამხილონ და პატრონს მოპარული ძროხა ან ცხვარი და თხა ათმაგად უნდა დაუბრუნოს.²¹²
266. (xiv 76-81) თუკი ნახირის სადგომში²¹³ საქონლის ეპიდემია²¹⁴ გაჩნდება ან (საქონელს) ლომი²¹⁵ მოკლავს, მწყემსი ღვთაების წინაშე უნდა განიწმინდოს, და სადგომის ზარალს სადგომის პატრონი მიიღებს.
267. (xlv 82-89) თუკი მწყემსი დაუდევარია და ნახირის სადგომში მუნს გაავრცელებს, მწყემსმა სადგომში მუნით მიყენებული ზარალი უნდა აანაზღაუროს – ძროხის ან ცხვრისა და თხის (დანაკარგი) შეავსოს და პატრონს დაუბრუნოს.
268. (xlv 90-92) თუკი კაცი გასაღეწად²¹⁶ ხარს დაიქირავებს, მისი ქირაა 2 სუთ მარცვლეული.
269. (xlv 93-95) თუკი კაცი გასაღეწად ვირს დაიქირავებს, მისი ქირაა 1 სუთ მარცვლეულია.
270. (xlv 96-98) თუკი კაცი გასაღეწად ვაცს²¹⁷ დაიქირავებს, მისი ქირაა 1 კა მარცვლეული.
271. (xlv 99-xlvi 2) თუკი კაცი ხარებს, ურემს²¹⁸ და მეურმეს დაიქირავებს, დღიურად 3 ფარსიქთუ²¹⁹ მარცვლეული უნდა მისცეს.
272. (xlvi 3-7) თუკი კაცი მხოლოდ ურემს დაიქირავებს, დღიურად 4 სუთ მარცვლეული (= ხორბალი) უნდა მისცეს.
273. (xlvi 8-19) თუკი კაცი ქირისკაცს დაიქირავებს, წლის დასაწყისიდან მეხუთე თვის ბოლომდე დღიურად 6 უთეთუ²²⁰ ვერცხლი უნდა მისცეს. მეექვსე თვიდან წლის ბოლომდე კი დღიურად 5 უთეთუ ვერცხლი უნდა აძლიოს.

²⁰² nāqīdu (NA.GADA) – მწყემსი, მეხრე, მეჯოგე.

²⁰³ liātu – ძროხა.

²⁰⁴ ṣēnu II (USDU.ḪA = U8.UDU.ḪÁ) – ცხვრები და თხები, წვრილფეხა საქონელი.

²⁰⁵ re'û – მწყემსი, მწყემსობა.

²⁰⁶ immeru – (immer; immerû/immerātu; UDU, UDU.NITA) – ცხვარი.

²⁰⁷ idu – გასამრჯელო, ქირა.

²⁰⁸ talittu – შთამომავლობა.

²⁰⁹ biltu(m), NA bissuy bisu "load; talent; yield; rent; tribute" [GU; GUN].

²¹⁰ sarāru – მოტყუება.

²¹¹ simtu(m), simtu(m)y Nuzi Sindltu "mark, token; colour, paint" OAKk, Bab. [(KUS.)SE.GIN; KUS.SE.GIM].

²¹² riābu (SU) – შეცვლა, დაბრუნება.

²¹³ tarbaṣu (TÜR) – ნახირის სადგომი, ბაკი, გომური.

²¹⁴ lipit ili – საქონლის ეპიდემია, ქირი.

²¹⁵ nēṣu (UR.MAḪ) – ლომი.

²¹⁶ dāṣu, diāṣu – დაფქვა, ხორბლის დაცეხვა, დატკეპნა, გათელვა; გაღეწვა.

²¹⁷ urīṣu – ვაცი.

²¹⁸ ereqqu (GIŠMAR.GID.DA) – სატვირთო ურიკა, ეტლი.

²¹⁹ parsiktu(m), parsiktum – საზომი ერთეული, "bushel measure" O/jB [GIS.BA.RLGA] (^ panull) of DN; p. Kittum "official p."; (part of a barge); < Sum. საზომი ერთეული, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება მარცვლეულის, ხილის ან სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტების რაოდენობის გასაზომად.

²²⁰ uṭṭetu (ŠE) – უმცირესი საწონი ერთეული; uṭṭatu(m), uṭṭetu(m) "grain, barley" [SE.BAR; ŠE; KU.KU (= uṭṭatu)] 1. "barley"; OB, MB phps. "cereals" in gener. 2. pi. "grains, seeds" of plants, trees etc. 3. st. abs. uṭṭet, uṭṭat "1 grain"; as unit of weight = 1/180 shekel, also as surface measure; linear measure 1/6 ubānu.

274. (xlvi 20-44) თუკი კაცი ხელოსანს²²¹ დაიქირავენ გასამრჯელოდ დღიურად უნდა მისცეს: [x] 5 *უთეთუ* ვერცხლი; მქსოველს²²² გასამრჯელოდ 5 *უთეთუ* ვერცხლი; სელის მბეჭველს²²³ [გასამრჯელოდ] [x] *უთეთუ* ვერცხლი; ქვის მჭრელს²²⁴ გასამრჯელოდ [x *უთეთუ* ვერ]ცხლი; მშვილდოსანს²²⁵ გასამრჯელოდ [x *უთეთუ* ვერ]ცხლი; მჭედელს²²⁶ გასამრჯელოდ [x *უთეთუ*] ვერცხლი; ხუროს²²⁷ გასამრჯელოდ 4(?) *უთეთუ* ვერცხლი; დაბაღს²²⁸ გასამრჯელოდ [x] *უთეთუ* ვერცხლი; მქსოველს²²⁹ გასამრჯელოდ [x *უთ*]ეთუ ვერცხლი; მშენებელს²³⁰ გასამრჯელოდ [x *უთეთუ* ვერც]ხლი;
275. (xlvi 45-48) თუკი კაცი [...-ნავს] დაიქირავენ, დღიურად მისი ქირა 3 *უთეთუ* ვერცხლია.
276. (xlvi 49-52) თუკი კაცი ნავს²³¹ დაიქირავენ, მისი ერთი დღის ქირა 2½ *უთეთუ*ვერცხლი უნდა იხადოს.
277. (xlvi 53-57) თუკი კაცი 60 გურ (ტევადობის) ნავს იქირავენ, მისი ერთი დღის ქირა 1/6 *უთეთუ* ვერცხლი უნდა იხადოს.
278. (xlvi 58-66) თუკი კაცი მონას კაცს ან მონა ქალს იყიდის და ერთი თვის განმავლობაში მას ბნედა²³² დაემართება. (მყიდველს) შეუძლია ის გამყიდველს დაუბრუნოს, მყიდველმა თავისი მიწონილი ვერცხლი უნდა დაიბრუნოს.
279. (xlvi 67-71) თუკი კაცი (ისეთ) მონა კაცს ან მონა ქალს იყიდის, რომელსაც²³³ ბრალი აქვს წაყენებული, მის ბრალეულობაზე გამყიდველია პასუხისმგებელი.
280. (xlvi 72-87) თუკი კაცი უცხო ქვეყანაში (სხვა) კაცის მონა კაცს ან მონა ქალს იყიდის. და სანამ ის ქვეყანაში მოგზაურობს, მონა კაცის ან მონა ქალის პატრონი ამოიცნობს თავის მონა კაცს ან მონა ქალს, თუკი ისინი – მონა კაცი და მონა ქალი ამ ქვეყნის მკვიდრნი იქნებიან, ვერცხლის გარეშე უნდა გათავისუფლდნენ.
281. (xlvi 88-96) თუკი ისინი სხვა ქვეყნის მკვიდრნი არიან, მყიდველმა ღვთაების წინაშე მიწონილი ვერცხლის (ოდენობა) უნდა განაცხადოს, (შემდეგ) მონა კაცის ან მონა ქალის პატრონმა ვაჭარს მიწონილი ვერცხლი უნდა დაუბრუნოს და თავისი მონა კაცი ან მონა ქალი გამოისყიდოს.
282. (xlvi 97-102) თუკი მონა კაცი თავის პატრონს გამოუცხადებს: „შენ ჩემი პატრონი არ ხარ“, – მან (= პატრონმა) უნდა დაამტკიცოს, რომ ის მისი მონაა, და მის პატრონს შეუძლია ყური მოაჭრას.

ეპილოგი

(xlvi 1-8) ეს არის სამართლიანი კანონები, რომელიც ხამურაბიმ, ძლევამოსილმა მეფემ დაადგინა და ამით ქვეყანას მტკიცე წესი და სიკეთე მისცა.

²²¹ ummānu, ummiānu – ოსტატი, ხელოსანი.

²²² kamidu(m) "fabric-beater" O/MB, Mari [LU.TUG.DUG(.A)].

²²³ kitu(m) "flax; linen" (TUG.)GADA.

²²⁴ purkullu (BUR.GUL) – ქვის მჭრელი, საბეჭდავის მჭრელი.

²²⁵ sasinnu(m), sisinnu, O/MB(Alal.) sass/ssinnu "bowyer, bow-maker" Mari, OB(Alal.), M/NA, Susa, M/NB [(LU.)ZADIM].

²²⁶ nappāhu (SIMUG) – მჭედელი.

²²⁷ naggāru (NAGAR) – ხურო.

²²⁸ aškāpu (AŠGAB) – დაბადი.

²²⁹ atkuppu (AD.KID) – ფარდაგის მქსოველი; atkuppu(m), askuppu "craftsman making objects of reeds" Bab. [(LU.)AD.KID]; ფარდაგის მქსოველ, ან ხელოსანი – ლერწმის ნივთების დამამზადებელი/მეგოდრე?

²³⁰ itinnu – მშენებელი.

²³¹ māhirtu – გემი, ნავი.

²³² binnu, bennu – ავადმყოფობა, ეპილეფსია/ ბნედა.

²³³ baqru – ბრალი, დავა.

(xlvi 9-58) მე ვარ ხამურაბი, სრულყოფილი მეფე, მე შავთავიანთა²³⁴ მიმართ, რომელიც ღვთაება ენლილმა ჩამაბარა და რომლის მწყემსობაც ღვთაება მარდუქმა დამავალა, არ ვყოფილვარ უყურადღებო ან გულგრილი. მე მათთვის მშვიდობიან ადგილებს ვეძებდი. მძიმე გასაჭირი ავაშორე, მათ სინათლე მოვფინე. იმ ძლევამოსილი იარაღით, რომელიც ღვთაებებმა ზაბაბამ და იშთარმა მომცეს, იმ სიბრძნით, რომელიც ღვთაება ეამ მომანიჭა, იმ უნარით, რომელიც ღვთაება მარდუქმა მიბოძა. მე მტრები ყველგან – ზემოთ და ქვემოთ მოვსპე, დავასრულე ომები, გავაძლიერე ქვეყნის კეთილდღეობა, მე ყველა დასახლებული ადგილის მოსახლეობა უსაფრთხო სამოვრებზე დავასახლე, მათი დამაშინებელი არ გავაჭაჭანე.

დიდმა ღვთაებებმა მე ამირჩიეს. მე ვარ მწყემსი მშვიდობის მომტანი, რომლის კვერთხი სამართლიანია. ჩემი კეთილი ჩრდილი ჩემს ქალაქზეა განფენილი, შუმერისა და აქადის მიწების ხალხს ჩემი უსაფრთხო კალთა გადავაფარე. ჩემი მფარველი ქალღმერთისა²³⁵ და მისი ძმების წყალობით ისინი მშვიდობიანად შევიწარჩუნე, ჩემი სიბრძნის წყალობით დავიფარე.

(xlvi 59-78) იმისათვის, რომ ძლიერმა სუსტი არ დაჩაგროს, ობოლსა და ქვრივის სამართალი ჰქონდეთ ბაბილონში, ქალაქში, რომელიც ღვთაებებმა ანუმ და ენლილმა აამაღლეს, ესაგილაში, ტადარში, რომლის საძირკველიც ცისა და მიწის მსგავსად მყარია, რათა ქვეყნად სამართალი აღსრულდეს, ქვეყნად განაჩენი დადგინდეს და შევიწროებულთ სამართლიანად ეპყრობოდნენ. ჩემი ძვირფასი სიტყვები ჩემს ქვაზე დავწერე და დავდგი იგი ჩემი, სამართლიანი მეფის ქანდაკების წინაშე.

(xlvii 79-xlviii 2) მე ვარ მეფეთა შორის გამორჩეული. ჩემი სიტყვები გამორჩეულია, ჩემი შესაძლებლობები შეუდარებელია.

ღვთაება შამაშის, ცისა და მიწის დიდი მსაჯულის ბრძანებით, დაე, ჩემმა სამართალმა გაიმარჯვოს ქვეყანაში. ღვთაება მარდუქის – ჩემი ბატონის ბრძანებით, ჩემს ამოკვეთილ სიტყვებს არავინ შეეხოს! არავინ წაშალოს! დაე, ჩემს საყვარელ ესაგილას ტადარში ჩემი სახელი ყოველთვის კეთილად იხსენიებოდეს!

(xlvi 3-19) დაე, ნებისმიერი არასწორი ადამიანი, რომელსაც აქვს სარჩელი, მოვიდეს ჩემი ქანდაკების წინაშე, სამართლიანი მეფისა, რათა ქვაზე დაწერილი წიკითხოს, ჩემი ძვირფასი სიტყვები მოისმინოს და ჩემი ქვა სარჩელს განუმარტავს; დაე, მან მართლმსაჯულება იპოვოს, გული დაიმშვიდოს, და თქვას:

(xlvi 20-38) „ხამურაბი, უფალი, რომელიც თავის ხალხს მამად მოევლინა, რომელიც თავისი მეუფის, ღვთაება მარდუქის ბრძანებას დაემორჩილა, ყველგან – ზემოთ და ქვემოთ ღვთაება მარდუქის ნება აღასრულა. მან გაახარა ღვთაება მარდუქის, მისი მეუფის გული, უზრუნველყო ხალხის მარადიული კეთილდღეობა და ქვეყანაზე სამართლიანობა.“

(xlvi 39-58) თქვას და ასე ილოცოს ჩემთვის მთელი გულით ღვთაებების, ჩემი მეუფეა მარდუქისა და ჩემი ქალბატონის ცარფანითუს წინაშე. დაე, მფარველი ღვთაება²³⁶, მფარველი ქალღმერთი (=იშთარი), ღვთაებები, რომლებიც ესაგილას ტადარში შედიან, და თავად ესაგილას ტადრის აგურები იწონებდნენ მის ზრახვებს ჩემი მეუფის – მარდუქის და ჩემი ქალბატონის – ცარფანითუს, წინაშე.

(xlvi 59-94) დაე, მომავალმა მეფემ ამ ქვეყანაში ქვაზე ჩემს მიერ დაწერილი სამართლიანი სიტყვები შეასრულოს. დაე, მან არ შეცვალოს ჩემი გამოტანილი განაჩენები და არ წაშალოს ჩემი ამოტვიფრული გამოსახულება. თუ ამ კაცს აქვს გამჭირაობა და შეუძლია თავისი ქვეყანა სამართლიანად მართოს, დაე, ყური დაუგდოს იმ სიტყვებს, რაც მე დავწერე ჩემს ქვაზე, დაე ამ ქვამ განუმარტოს სათანადო ქცევა,²³⁷ სამართალი

²³⁴ šalmat qaqqadi – შავთავიანები (შუმერები).

²³⁵ lamassu (^dLAMMA) – დამცველი/მფარველი ქალღმერთი, იშთარის ეპითეტი.

²³⁶ šēdu (DALĀD) – მფარველი ღვთაება.

²³⁷ ანუ მართვა-გამგეობა.

- იმ ქვეყნის შესახებ, რომელიც მე დავადგინე. სამართლიანად განაგებდეს შავთავიანებს, მათი სამართალი განიკითხოს და დაე, მან გამოიტანოს მათი განაჩენი. დაე, აღმოფხვრას ბოროტება და უსამართლობა თავის ქვეყანაში, გააძლიეროს თავისი ხალხის კეთილდღეობა.
- (xlvi 95-xlix 17) მე ვარ ხამურაბი, სამართლიანობის მეფე, რომელსაც ღვთაება შამაშმა მიანიჭა ჭეშმარიტება. ჩემი სიტყვები გამორჩეულია, ჩემი მიღწევები კი შეუდარებელი; ისინი ფუჭია მხოლოდ უგუნურთათვის, ბრძენთათვის კი საქებარი. თუკი ის კაცი (= მომავალი მმართველი) ყურად იღებს ჩემს სიტყვებს, რომლებიც ჩემს სტელაზე დავწერე, და არ უარყოფს ჩემს სიტყვებს, არ შეცვლის ჩემს განჩინებას ან არ შეცვლის ჩემს ამოტიფრულ გამოსახულებას, მაშინ ეს კაცი ჩემსავით სამართლიანი მეფეა, დაე, ღვთაება შამაშმა მეფობა გაუხანგრძლივოს და თავისი ხალხი სამართლიანობით მწყემსოს.
- (xlix 18-44) თუკი ეს კაცი ყურადღებას არ მიაქცევს ჩემს სიტყვებს, რომლებიც ჩემს ქვაზე დავწერე, და უარყოფს ჩემს წყევლას და ღვთაებების წყევლას არ შეუშინდება და ჩემს გამოტანილ განაჩენებს წაშლის, ჩემს გამონათქვამებს დაამახინჯებს, ჩემს ამოტიფრულ გამოსახულებას შეცვლის, ჩემს წარწერილ სახელს ამოფხვებს და (მის ადგილას) თავის სახელს ჩაწერს, ან ამ წყევლის შიშით სხვას წააქეზებს, – იქნება ის მეფე, ბატონი, მმართველი, ან საერთოდ ნებისმიერი ადამიანი, –
- (xlix 45-52) დაე, დიდმა ღვთაება ანუმ, ღვთაებათა მამამ, რომელმაც გამოაცხადა ჩემი მეფობა, მას მეფური ბრწყინვალება ჩამოართვას, მისი კვერთხი დაამტვირთოს და მისი ბედი დაწყევლოს.
- (xlix 53-80) დაე, ღვთაება ენლილმა, უფალმა, რომელიც განსაზღვრავს ბედს, რომლის ბრძანებას არ შეიძლება შეიცვალოს, რომელიც ადიდებს ჩემს მეფობას, მის საცხოვრებელს მოუტანოს არეულობა, რომლის ჩახშობაც შეუძლებელია და აჯანყება, რომელიც გამოიწვევს მის განადგურებას. დაე, მას ვაების მეფობა, ხანმოკლე დღეები, შიმშილის წლები, გაუთენებელი სიბზნელე, უეცარი სიკვდილი ბედისწერად დაუბედოს; მან თავისი ბაგეებით ბრძანოს მისი ქალაქის მოსპობა, მისი ხალხის დაფანტვა, მისი მეფობის დამხობა. და მისი სახელისა და ხსოვნის გაქრობა.
- (xlix 81-97) დაე, ქალღმერთმა ნინლილმა, დიდმა დედამ, რომლის ბრძანებასაც ექურის ტაძარში პატივს სცემენ. ქალბატონმა, ჩემს გულისთქმათა მოწყალე შუამდგომელმა, დაე, წაიყვანოს მისი საქმე სამსჯავროსა და განაჩენის ადგილზე ღვთაება ენლილის წინაშე, დაე, მეუფე ენლილის პირით განცხადდეს მისი ქვეყნის განადგურება, მისი ხალხის მოსპობა და მისი სისხლის წყალივით დაღვრა.
- (xlix 98-113) დაე, ღვთაება ეამ, დიდმა უფლისწულმა, რომლის ბედის განგებაც უპირატესია, ბრძენმა ღვთაებათა შორის, ყოვლის მცოდნემ, რომელიც ჩემს სიცოცხლეს დღეგრძელობს, მას ყოველგვარი გონიერება და სიბრძნე წაართვას და შეშალოს; მდინარეთა სათავეები დაუშრიტოს და ხორბალი – კაცთა საზრდო მის მიწაზე არ აღმოაცენოს.
- (1 14-40) დაე, ღვთაება შამაშმა, ცისა და მიწის დიდმა მსაჯულმა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიან გზებს ყველა ცოცხალ არსებას, უფალმა, ჩემმა მისანდობელმა, მისი მეფობა დაამხოს; მისი სამართალი არ განიკითხოს, გზა აურიოს და მისი ჯარის მორალი შეარყიოს; მკითხაობისას გამოუვლინოს მისი მეფობის საფუძვლის აღმოფხვრისა და მისი ქვეყნის მოსპობის ავი ნიშანი. დაე, ღვთაება შამაშის დამღუპველი წყევლა-კრულვა სწრაფად ეწიოს, იგი ზესკნელში ამოძირკვოს და ქვესკნელში კი მის სულს წყალი არ აღირსოს.
- (1 41-63) დაე, ღვთაება სინმა, ცის ბატონმა, ჩემმა გამჩენმა, რომლის წინასწარმეტყველური გადაწყვეტილება ღვთაებებს შორის უპირატესია, ჩამოართვას მას მეფობის გვირგვინი და ტახტი, დაადოს მძიმე ცოდვა სხეულიდან წარუხოცელი დიდი სასჯელი. დაასრულოს მისი მეფობის ყოველი დღე, თვე და წელი კვნესითა და

- გლოვით: მისი მეფობის მოსურნე მის წინაშე გამოავლინოს; არგუნოს სიცოცხლე, რომელიც არ არის უკეთესი სიკვდილზე.
- (I 64-80) დაე, ღვთაება ადადმა, სიუხვის ბატონმა, ცისა და მიწის არხის შემმოწმებელმა, ჩემმა შემწემ, მას ზეციდან წვიმის სარგებლობა და წყაროებიდან წყალდიდობა წაართვას და გაანადგუროს მისი ქვეყანა სიღარიბითა და შიმშილით. სასტიკად იგრგვინოს მის ქალაქზე და მისი მიწა წარღვნის შედეგად დატოვებულ მთებად აქციოს.
- (I 81-91) დაე, ღვთაება ზაბაბამ, დიდმა მეომარმა, ექურის ტაძრის პირმშომ, რომელიც ჩემს მარჯვენა მხარეს მოგზაურობს, ბრძოლის ველზე იარაღი დაუღწეოს; დაე, დღე ღამედ უქციოს და მასზე მტერმა იმარჯვოს.
- (I 92-li 23) დაე, ქალღმერთმა იშთარმა, ბრძოლისა და შერკინების ქალბატონმა, რომელიც ატარებს ჩემს იარაღს, ჩემმა კეთილგანწყობილმა მფარველმა სულმა,²³⁸ რომელსაც უყვარს ჩემი მეფობა, დაწყევლოს მისი მეფობა თავისი მრისხანე გულითა და დიდი წყრომით; სიხარული უბედურებად უქციოს; დაუმტვრიოს იარაღი ომისა და ბრძოლის ველზე, ჩააგდოს იგი დაბნეულობასა და ჯანყში, მისი მეომრები გაანადგუროს, მორწყას მიწა მათი სისხლით, მისი ჯარისკაცების ცხედრები ველზე დაახვავოს და დაე, ანუ შეიწყალებს მის ლაშქარს; თავად ის მტრებს ჩაუგდოს ხელში და ტყვედ შეკრული მისი მტრის ქვეყანაში წაიყვანოს.
- (li 24-39) დაე, ღვთაება ნერგალმა, ძლევამოსილმა ღვთაებებს შორის, ბრძოლაში უბადლომ, ჩემმა გამმარჯვებელმა. თავისი ძლიერებით, როგორც ლერწამს მოდებულმა მძვინვარე ცეცხლმა, დაე, მისი ხალხი გადაბუგოს; ძლიერი იარაღი დაკრას და მისი ასონი თიხის ფიგურასავით შემუსროს.
- (li 40-49) დაე, ქალღმერთმა ნინთუმ, ქვეყანათა მაღალმა ქალბატონმა, დედამ, ჩემმა შემოქმედმა, წაართვას მას მემკვიდრე და არ მისცეს შთამომავლობა; არ დაუშვას, მის ხალხში ადამიანთა მოდგმის გაჩენა.
- (li 50-69) დაე, ქალღმერთმა ნინქარაქმა, ღვთაება ანუს ასულმა, ექურის ტაძარში ჩემთვის კეთილი სიტყვის შემაწევარმა გამოიწვიოს მძიმე ავადმყოფობა მის კიდურებზე, ბოროტი დემონური დაავადება, მძიმე წყლული, რომლის დაამებაც შეუძლებელია, რომლის მკურნალობაც ექიმს არ შეუძლია, რომელსაც სახვევებით ვერ მოაშუშებ. რომლებიც მსგავსად სასიკვდილო ნაკბენისა განუკურნებელია; დაკარგული ჯანმრთელობა იტიროს, სანამ მისი სიცოცხლე არ დასრულდება.
- (li 70-83) დაე, ცისა და მიწის დიდმა ღვთაებებმა, ყველა ანუნაქმა ერთად, ტაძრის მფარველმა სულმა, ებაბარის ტაძრის ღვთიურმა აგურმა ის კაცი, მისი შთამომავალი, მისი ქვეყანა, მისი მეომრები, მისი ხალხი და მისი ჯარი, საშინელი წყევლით დაწყევლონ.
- (li 84-91) დაე, ღვთაება ენლილმა, თავისი უცვლელი სიტყვით საშინელი წყევლით დაწყევლოს და დაე, მას სწრაფად ეწიოს!

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა/REFERENCES

- Black, J., George, N., Postgate, N. (2000). A Concise Dictionary of Akkadian. 2 nd (corrected) printing. Harrassowitz Verlag, Wiesbaden.
- Bodine, W.R. (2014). How Mesopotamian scribes learned to write legal documents: a study of the Sumerian model contracts in the Babylonian Collection at Yale University.

²³⁸ = იშთარი.

- Borger, R. (1982). Der Codex Hammurapi. Pp. 39-79 in Rechtsbacher, Rechts- und Wirtschaftsurkunden Historisch-chronologische Texte. Texte aus der Umwelt des Alten Testaments 1/ 1. Ed. by O. Kaiser. Gütersloh: Gerd Mohn.
- Bottéro, J. (1992). The 'Code' of Ijammurabi. Pp. 156-84 in Mesopotamia: Writing, Reasoning, and the Gods. Translated by Z. Bahrani and M. van de Mieroop. Chicago: University of Chicago Press. [English translation of "Le 'Code' de Hammurabi." *Annali della Scuola Normale Superiore di Pisa* 12 (1982): 409-44.]
- Clay, A. T. (1914). A Sumerian Prototype of the Hammurabi Code. *Orientalistische Literaturzeitung* 17: 1-3.
- Court, J.R. (1995). Codex Collections from Mesopotamia and Asia Minor. Scholars Press.
- Deimel, A. (1930). Codex Hammurabi, textus primigenius. Rome: Pontificium Institutum Biblicum.
- Driver, G.R. Miles, J., (1955). The Babylonian Laws: 2. Transliterated Text, Translation, Philological Notes, Glossary. Oxford: Clarendon Press.
- Finkelstein, J. J. (1969). The Hammurapi Law Tablet BE XXXI 22. *Revue d'Assyriologie* 63: 11-27.
- Haase, R. (1979). Die keilschriftlichen Rechtssammlungen in deutscher Fassung. 2d ed. Wiesbaden: Otto Harrassowitz.
- Harper, R. F. (1904). The Code of Hammurabi, King of Babylon. Chicago: University of Chicago Press.
- Johns, C. H. W. (1904). Babylonian And Assyrian Laws, Contracts and Letters. New York. Charles Scribner's Sons.
- Kramer, S.N. (1955). Collections of Laws from Mesopotamia and Asia Minor: Lipit-Ishtar Lawcode. In Pritchard, James B. (ed.). *Ancient Near Eastern Texts Relating to the Old Testament with Supplement*. Princeton Studies on the Near East. Princeton University Press.
- Kraus, F.R. (1950). Codex Hammurabi IV 32-44. *Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes* 51: 173-77.
- Kraus, F.R. (1960). Ein zentrales Problem des altmesopotamischen Rechts: Was ist der Codex Hammurabi? *Genava* 8: 283-96.
- Laessøe, J. (1950). On the Fragments of the Hammurabi Code. *Journal of Cuneiform Studies* 4: 173-87.
- Lambert, W.G. (1989). The Laws of Hammurabi in the First Millennium. Pp. 95-98 in *Reflets des deux fleuves*, Volume de Melanges offerts a Andre Finet. *Akkadica Supplementum* 6. Ed. by M. LeBeau and P. Talon. Leuven: Peeters.
- Meek, T. (1950a). The Code of Hammurabi. Pp. 163-80 in *Ancient Near Eastern Texts Relating to the Old Testament*, 2d ed. 1955, 3d ed. with supplement 1969. Ed. by J.B. Pritchard. Princeton: Princeton University Press.
- Meissner, B. (1898). Altbabylonische Gesetze. *Beitrdge zur Assyriologie* 3: 493-519.
- Nougayrol, J. (1951). Le prologue du Code Hammourabien, d'après une tablette inedite du Louvre." *Revue d'Assyriologie* 45: 67-79.

- Nougayrol, J. (1957). Les fragments en pierre du Code Hammourabien (I). *Journal Asiatique* 245: 339-66.
- Nougayrol, J. (1958). Les fragments en pierre du Code Hammourabien (II). *Journal Asiatique* 246: 143-55.
- Powell, M. (1987). Masse und Gewichte. Pp. 457-517 and 527-30 in *Reallexikon der Assyriologie* 7. Ed. by E. Ebeling et al. Berlin: de Gruyter.
- Reiner, E. (1970). Hammurabi god of kings? (CH iii 16). *Revue d'Assyriologie* 64: 73.
- Black, J. George, A. Postgate, N. (2000). *A Concise Dictionary of Akkadian*. Band 5. 2nd (corrected) printing. Harrassowitz Verlag • Wiesbaden.
- Roth, M.T. (1997). *Law Collections from Mesopotamia and Asia Minor*. V 6 (2).
- Schramm, W. (2010). *Akkadische Logogramme*. Göttinger Beiträge zum Alten Orient. Band 5. Universitätsverlag Göttingen.
- Stuneck, M.A. (1927). *Hammurabi Letters from the Haskell Museum Collection*. Diss., University of Chicago.
- Sweet, R. F. G. (1958). *On Prices, Moneys. and Money Uses in the Old Babylonian Period*. Diss.. University of Chicago.
- Ungnad, A., (1909). *Keilschrifttexte der Gesetze Hammurapis*. Leipzig.
- von Soden, W. (1959-81). *Akkadisches Handwörterbuch*. Wiesbaden: Otto Harrassowitz.
- Weidner, E. (1952/53). Drei neue Fragmente des Kodex Ijammurapi aus neuassyrischer Zeit. *Archiv für Orientforschung* 16: 323-24.
- Wiseman, D. (1962). The Laws of Hammurabi Again. *Journal of Semitic Studies* 7: 161-72.